# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 6 ივლისი 2001 №125 (1398) | ფასი 50 თეთრი


# იყიდება ლაციო ცალობით და ბითუმად

## კრანიოტიმ გაგიჟებას ფეხბურთიდან წასვლა არჩია

ფეხბურთელები ყოველთვის გადადიოდნენ გუნდიდან გუნდში, ოღონდ ეს ამბავი ადრე ასეთი ისტერიული არ იყო.

ბოლო რამდენიმე კვირაში მხოლოდ ევროპის ხუთი ბობოლა დივიზიონის კლუბებმა ხუთასზე მეტი ფეხბურთელი იყიდეს და ამდენივე გაყიდეს. ფასები კი იწევს და იწევს. შარშან ერნან კრესპოს ორმოცდათოთხმეტმა მილიონმა გაგვაოცა, ფიგუს ორმოცდათექვსეტმა ხომ მით უფრო. და რა უნდა ვიფიქროთ ახლა, როცა ზინედინ ზიდანის 60 თუ 65 მილიონიანი კონტრაქტი დღე-დღეზე გაფორმდება? ალბათ ის, რომ გაოცებას აზრი აღარ აქვს — ხვალ თუ არა ზეგ, რომელიღაც კლუბის პრეზიდენტი რომელიღაც ფეხბურთელში ალბათ მეტს გადაიხდის. თავში ისტერია ვახსენეთ და, ვფიქრობთ, ახლანდელ სატრანსფერო ციებ-ცხელებას სწორედ ეს სიტყვა უხდება.

არის მსხვერპლიც. „ლაციოს" პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ ამ სიგიჟეს ვერ გაუ□ლო და წავიდა. ფეხბურთის გადამკიდემ, რა ხანია, სიმშვიდე დავკარგე და □ალიან დავიღალე, ყველაფერი მომბეზრდათ, თქვა კაცმა, რომელიც კვების პროდუქტების უდიდესი იმპერიის მფლობელია. ესეც თუ დაიღლებოდა და...

გუშინ კრანიოტის სახლთან მიუვარდნენ, ორასიოდე კაცი იქნებოდა. პრეზიდენტს გვიანობამდე აგინებდნენ ხუან სებასტიან ვერონისა და პაველ ნედველის გაყიდვის გამო. ცნობისთვის: ვერონი 25 მილიონ გირვანქად „მანჩესტერში" მიდის, ნედველი კი — „იუვენტუსში". გვახსენდება, რომ ერთი წლის წინ ფერნანდო რედონდოს გაყიდვის გამო „რეალის" ერთ-ერთ დირექტორს თავი გაუტეხეს. მოკლედ სატრანსფერო ისტერია კაბინეტებიდან ქუჩებში გადის.

თუმცა ეს ისტერია სერჯო კრანიოტის აღარ შეაწუხებს. კონცერნი „ჩირიო" „ლაციოს" აქციების კუთვნილ 51 პროცენტს ყიდის, თავად „ჩირიოს" 80 პროცენტი კი კრანიოტების ოჯახისაა.



ხუან სებასტიან ვერონისა და პაველ ნედველის გაყიდვით აღშფოთებულმა „ლაციოს" ქომაგებმა კლუბის პრეზიდენტ სერჯო კრანიოტის ფეხბურთზე ხელი აალებინეს






# ჟიუსტინეიჯერს ვენეროლოგიაში გამოცდალა დარჩა



ვინუს უილიამსი

გუშინ 19 წლის ჟიუსტინ ენენმა წლევანდელი უიმბლდონის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სენსაცია გამოაცხო. ჩია ბელგიელმა თვით წლეულს ყოვლისდამპყრობ ჯენიფერ კაპრიატიზე აღმართა ხელი და სეზონის ტრიუმფატორს დიდი სლემის მოპოვების ოცნება ოცნებადვე დაუტოვა.

ხვალ ფინალში დედით ობოლი ჟიუსტინის მეტოქე კიდევ ერთი ჯანიანი ამერიკელი, შარშანდელი ჩემპიონი ვინუს უილიამსი იქნება. შავმა ვენერამ ნახევარფინალში თანამემამულე ლინდსი დევენპორტი დაამარცხა.


იხილეთ მეთერთმეტე გვერდი





ჟიუსტინ ენენი

ინტერტოტოს თასი 2001. მეორე შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

**ვიტ ჯორჯია — ტრუა** estac

თბილისი. „ეროვნული". 8 ივლისი. 20 საათი

# ჯანდაცვაში სერიოზული პრობლემებია

## კარნევალი და ვიტ ჯორჯია 0:6-ის მერე

**თბილისიდან** ივნისში აბარგებული „ვიტ ჯორჯია" დედაქალაქს ივლისში დაუბრუნდა. ორიოდ კვირით უცხოეთში გადახვეწილმა ვიტელებმა ევროპა მოიარეს. ინტერტოტოდან ავსტრიული „რიდი" გამოთიშეს და ფრანგული „ტრუასგან" საფეხბურთო გაკვეთილიც მიიღეს.

ექვსი უპასუხო ბურთით წაგებამ ვეტერინარები საბოლოო მარცხს შეაგუა. ცხადია, „ვიტ ჯორჯიასთვის" ევროსეზონი დასრულდა.

კარნევალის გუნდი ვენიდან გუშინ, დილის 5 საათზე, ჩამოფრინდა. საღამოს შვიდის ნახევარზე კი „ეროვნულზე" ივარჯიშა.

„...პირობები ჩინებული გვქონდა, სერიოზულად ვემზადებოდით და განწყობაც საბრძოლო იყო, მაგრამ „ტრუამ" დაგვჩაგრა. ისინი ყველაფერში გვჯობნიდნენ. შანსი საწყის თხუთმეტ წუთში გვქონდა. ამ დროს მეტოქე შედარებით ფრთხილობდა. სწორედ მაშინ შექმნა გიორგი ადამიამ საგოლე მომენტი, მაგრამ... ადამიამ ერთხელაც 1:0-ზე გაიბრძოლა, ფლანგზე გაჭრილმა საჯარიმოში სახიფათოდ ჩააწოდა, მაგრამ მეკარემ ივარგა და მელქაძემდე ბურთი არ მიუშვა.

დანარჩენი დრო „ტრუა" ფეხბურთს თამაშობდა, ჩვენ კი ვცოდვილობდით. ან ექვსი ბურთით წაგებულებს სხვა რაღა გვეთქმის".

ზემოთ ნათქვამი თითოეული ვიტელის აზრია, მწვრთნელ-ფეხბურთელებიდან დაწყებული, კლუბის ხელმძღვანელობით დამთავრებული.

...„ტრუასთან" საპასუხო მატჩი მაინც სათამაშოა და ვარჯიშობდა ნამგზავრი, დაღლილი და ხასიათწამხდარი „ვიტ ჯორჯია". დისკვალიფიცირებული არავინაა, ტრავმირებული კი ორი ფეხბურთელი გახლავთ — თენგიზ კობიაშვილი და ევროპაში ვერგამგზავრებული ჯაბა მუჯირი. ავსტრიაში მიღებული ტრავმა თენგიზს ისევ აწუხებს. „რიდთან" მატჩის ბოლო წუთზე მას მოწინააღმდეგის მუხლი ზურგში მოხვდა და... ექიმები თურმე ეჭვობენ, თირკმელი არ იყოს დაზიანებულიო. კობიაშვილი „ტრუასთან" ვერც კვირას ითამაშებს. ვერც ჯაბა მუჯირი დაუპირისპირდება ფრანგებს. მან ძუნძული ორიოდ დღეა დაიწყო.

„ეროვნულზე" მოვარჯიშე სერგო ჭურაძე რომ ვიხილეთ, ძალიან გაგვიკვირდა. სერგო ან ტრავმირებული გვეგონა, ანაც რომელიმე ავსტრიულ კლუბში გასხვისებული. ჩვენდა გასაოცრად, ჭურაძე სრულიად ჯანმრთელი აღმოჩნდა და არც დარჩენილა სადმე. ჩვენ კი ვერ აგვიხსნია, რა ლოგიკით ამჯობინეს „ტრუასთან" ჭურაძეს მერლანი. შემადგენლობას მწვრთნელი ირჩევსო — ასეთი იყო ვიტელთა პასუხი.

ჯანი კარნევალი ვარჯიშს ჯერ ტრიბუნიდან უცქერდა, მერე მოედანზე გადაინაცვლა და ორიოდ მითითება მისცა მოთამაშეებს.

**— როგორაა საქმეები სინიორ ჯანი?**

— არა უშავს, ნორმალურად...

კარნევალი აშკარად არ იყო [illegible]ბრის იშტაზე და არც ჩვენ მივძალებივართ. ჩამთავრდება „ტრუასთან" საპასუხო მატჩი და იტალიელიც თავის აზრს ინტერტოტოს ორი ეტაპის შესახებ მერე მოგვახსენებს.

„ტრუასთან" დამარცხებული „ვიტ ჯორჯია" ტონერეში დაბრუნებულა, მეორე დღესაც იქ უვარჯიშია და შემდეგ პარიზში გამგზავრებულა. ვიტელებს ქალაქში ექსკურსია მოუწყვიათ და ავსტრიისკენ აუღიათ გეზი. ვენიდან 200 კილომეტრის დაშორებით გალზბახში გაჩერებულან, 3 და 4 ივლისს იქ წვრთნა გაუვლიათ და საქართველოში დაბრუნების დროც დადგა.

პატარა შეკრება გამოგვივიდაო, თქვეს კლუბის ხელმძღვანელებმა. „ტრუას" შემდეგ ვიტელები სამ დღეს დაისვენებენ და მეცამეტე ეროვნულისთვის სამზადისს შეუდგებიან.

**გამუკა ძგანტალიანი**

# მე ავანტიურის მომხრე ვარ და გეკითხებით: რად ახშობთ ახალგაზრდული სისხლის ყივილს? პასუხი: საქართველოში ლოგიკა არ არსებობს

*სიბნელეა — ისეთი რამეები ხდება ქართულ ფეხბურთში, სხვა განსაზღვრებას ვერ მიუსადაგებ. დედა ეფემიასი არ იყოს, სანთელიც არ მოიძებნება, სიბნელის შემანგრეველი ძალა რომ გააჩნდეს...*

*ორი ახალგაზრდა სპეციალისტის დებიუტი შედგა მთავარ მწვრთნელად მეთორმეტე ეროვნულ ჩემპიონატში. ორივემ საქმეს კარგად გაართვა თავი, მაგრამ არც ერთი არ დარჩა თავის პოსტზე. გია გეგუჩაძე სულაც ჩამოსცილდა რუსთავის „გორდას" და უმუშევარია...*

*36 წლის გეგუჩაძეს ექვსი წელი უმუშავია თბილისის „დინამოში", იოჰან ბოსკამპის ხანაში კი ეროვნულ ნაკრებშიც. გასულ სეზონში, საგაზაფხულო ეტაპიდან, „გორდას" მთავარი მწვრთნელი გახდა და გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გადაარჩინა, მაგრამ...*

*ქართული ფეხბურთის საერთო მდგომარეობა, ეროვნული ნაკრები, ბოსკამპი, მწვრთნელები, გ ზა ხსნისა... შეკითხვედი და გია გეგუჩაძის რიტორიკა.*



გია გეგუჩაძე (მარჯვნივ) იოჰან ბოსკამპთან შეხმატკბილებულად მუშაობდა

**— რა მოხდა, რატომ წამოხვედით „გორდადან"?**

— „გორდაში" ჩემი მისვლა იმასთან იყო დაკავშირებული, რომ გუნდი უმაღლესი ლიგიდან არ უნდა გავარდნილიყო. პატარა ავანტიურაზე წავედი, მანამდე მთავარ მწვრთნელად ნამუშევარი ხომ არ ვიყავი — გავრისკე. კლუბის ხელმძღვანელობაც მაკვირდებოდა, შევძლებდი თუ არა, საქმისთვის თავი გამერთვა. მე ეს შევძელი და ამიტომაც უფრო მეტი პრეტენზიები გამიჩნდა. „გორდადან" ჩემი წამოსვლის მიზეზიც ეს გახლდათ.

**— გამოდის, უკეთესი პირობები მოითხოვეთ?**

— დიახ, ასე იყო. როცა „გორდას" მთავარ მწვრთნელად დავინიშნე ვიცოდი, რომ ასეთ ტვირთს გავუძლებდი. გუნდის ხელმძღვანელობა ამბობდა, დღეს რომ არის, ხვალ იმაზე ორმაგად უკეთესი პირობები იქნება „გორდაშიო". მეც მხოლოდ ჩემი კი არა, მთლიანად გუნდისთვის პირობების გაუმჯობესებას მოვითხოვდი. ამაში შედიოდა ბავშვთა საფეხბურთო და ფარმკლუბის შექმნაც.

**— ცუდი ტენდენცია წავიდა ჩვენში — მიუხედავად წარმატებისა, ახალგაზრდა მწვრთნელებს მაინც აბრკოლებენ. გოჩა ტყებუჩავას მაგალითიც მოვიყვანოთ — ფაქტობრივად, ხელახლა და ახალგაზრდა გამოუცდელი ფეხბურთელით დაკომპლექტებულმა „დინამომ" ჩემპიონობისთვისაც კი გაიბრძოლა და სამეულში მოხვდა, მაგრამ...**

— „ლოკომოტივის" პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძეს მადლობას ვუხდი იმისთვის, რომ კახა ცხადაძე გუნდის მთავარი მწვრთნელია. ჩვენი მწვრთნელების ძველ გვარდიას დიდ პატივს ვცემ, მათ რიგებში ბევრი ღირსეული პიროვნებაა, მაგრამ ახალგაზრდული სისხლი აუცილებელია. ფეხბურთი სხვანაირად ვითარდება, სხვანაირად მიდის წინ და როცა ისევ ძველს ვუბრუნდებით, ამით ძალიან ვაშავებთ.

**— აქ ალბათ, ის ფაქტორიც არის, რომ ბევრი ჩვენი გუნდის პრეზიდენტი ფეხბურთში დილეტანტია, არაპროფესიულად უდგება საქმეს.**

— არ დავაკონკრეტებდი, მაგრამ საერთო ჯამში, სამწუხაროდ, ასეთი ვითარებაა. მწვრთნელს მუშაობა უნდა აცალონ, მაგრამ ყველას რატომღაც უცბად უნდა წარმატებები, ასე კი ფეხბურთში არ ხდება.

**— „ვიტ ჯორჯიამ" „ტრუასთან" 0:6 წააგო და იმ დღეს ინტერტოტოს თასის დანარჩენ მატჩებში ასეთი დიდი ანგარიში არსად დაფიქსირებულა. ყველაზე სამარცხვინოდ ქართველებმა წააგეს და საერთოდ, ყველამ ისწავლა ფეხბურთის თამაში, მოგება, ჩვენ კი რაც გვქონდა, იმასაც ვკარგავთ. არადა, უმაღლესი ლიგის წამყვანი კლუბები დღესდღეობით არცთუ გაუსაძლის ყოფაში არიან, ყოველ შემთხვევაში, ელემენტარული პირობები აქვთ, მაგრამ ფეხბურთის ელემენტარულ ცოდნაში აშკარად მოიკოჭლებენ. რატომ?**

— საქმეც ისაა, რომ მხოლოდ „ვიტ ჯორჯიამ" კი არა, ჩვენ ყველამ წავაგეთ 0:6. მიზეზი კი, ჩემი აზრით, ისაა, რომ საქმის ორგანიზაცია არასწორად ხდება ქართულ ფეხბურთში.

მშობელს ბავშვი პრესტიჟულ საფეხბურთო სკოლაში შეჰყავს, სადაც მოედანზე, რომლის ზომებია 40X20მ. სამოცი-სამოცდაათი ბავშვი ერთდროულად ვარჯიშობს. რა უნდა ისწავლოს იქ ბავშვმა? პერსპექტიული ახალგაზრდები ჩვენს გუნდებში მაინც მოდიან, მაგრამ მათ სულ უბრალო რაღაცეებიც კი არ იციან — დიაგონალური დაზღვევა, როგორ შეავსონ და გაათავისუფლონ ზონები, არადა, ამის ცოდნა ელემენტარულია.

ფეხბურთი საქართველოში მასიური სპორტი გახდა და არა პროფესიული. ვისაც კი ოდესმე სადმე ბურთისთვის ფეხი დაურტყამს, მწვრთნელობას იწყებს. აქედანაა ფულის შოვნას მარტივი ხერხი — რაც უფრო მეტი ბავშვი ივლის ფეხბურთზე, უფრო მეტი შემოსავალი უჩნდებათ. აი, ამ გაგებით იქცა ფეხბურთი მასიურ სპორტად. თანაც ფაქტია, რომ ჩვენ დავკარგეთ ქუჩის ფეხბურთი და რახან ასეა, ბავშვთა ფეხბურთში მეთოდიკა უნდა შეიცვალოს, მაგრამ რა უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, როცა ისინი ფულის შოვნის წყაროს წარმოადგენენ?

თუკი საქართველოში კარგი ფეხბურთელი გაიზარდა, თავისით — მწვრთნელი მხოლოდ ხელის შემწყობია. როცა მწვრთნელი ამბობს, ეს ფეხბურთელი მე გავზარდე და გზაზე დავაყენეო, ასეთ შეხედულებას არ ვიზიარებ. არ მესმის, მწვრთნელები ასეთ რამეს რატომ ამბობენ. რადგან ჩვენთან ფეხბურთელები სტიქიურად მიდიან საკუთარ გზაზე, ეროვნულ ნაკრებამდე. ჩვენთან ლოგიკა არ არსებობს, ეს პროცესი ბუნებრივად ხდება იმიტომ, რომ ტრადიცია არ გაგვაჩნია, ახლა ვყალიბდებით.

**— საქართველოს ჩემპიონატში საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელებად ვინ მიგაჩნიათ?**

— „გორდას" მიქაძე, დინამოელი მიქაძე, გონჩაროვი, მამალაძე, ბურდული, შაშიაშვილი, ბობოხიძე, მიკუჩაძე...

კახა მკავანაძეც ძალიან საინტერესო ფეხბურთელია, თუმც ის ახლა უკვე მოსკოვის „სპარტაკშია", დავასახელებდი აგრეთვე ლევან კორღალიძეს, მიუხედავად იმისა, რომ აქ აღარ თამაშობს.

**— ეროვნულ ნაკრებზეც უნდა გკითხოთ, უფრო სწორად, იოჰან ბოსკამპის პერიოდზე. ამ ჰოლანდიელ მწვრთნელს, რომლის თანაშემწეც იყავით, ახლა უფრო ბევრი ემადლიერება ჩვენში, ვიდრე მაშინ. თუმც საწინააღმდეგო აზრიც არსებობს — ბოსკამპი საქართველოს ნაკრებს ავანტიურულ ფეხბურთს ათამაშებდაო...**

— ავანტიურული ფეხბურთი მეც მიყვარს, დიდ პატივს ვცემ. ფეხბურთი პირველ რიგში სანახაობაა და ნებისმიერი ავანტიურის მომხრე ვარ, რომელსაც შედეგი მოაქვს. ბოსკამპს უყვარდა ეს და მეც მსიამოვნებდა მასთან მუშაობა. თქვენ ადრე რანი იყავით, არ ვიცი, დღეს კი საქართველოს ნაკრები ძლიერი უნდა იყოს — ამბობდა ბოსკამპი.

**— ბოსკამპის დროს ნაკრებმა მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა, და ისიც შინ ლატვიასთან. დანარჩენი მატჩები კი წააგო...**

— გუნდი თამაშიდან თამაშამდე უმატებდა, შედეგი ჯერ არ იყო, მაგრამ აუცილებლად იქნებოდა.

**— რითი იყო ბოსკამპი განსაკუთრებული?**

— ვთვლი, დიდად განსაკუთრებული არ იყო. თუმც გამორჩეული თვისებები ჰქონდა. ყველას მოუსმენდა, ყველას აზრს გაიზიარებდა და საკუთარი შეხედულებებიც გააჩნდა. დაინტერესება კი მხოლოდ ერთი ჰქონდა — საქართველოში ფეხბურთი ყოფილიყო. ის ჩვენში უდიდეს პოტენციას ხედავდა, თქვენ რომ შეგიძლიათ ნეტავ, ყველას ასე შეეძლოს ფეხბურთის თამაშიო. სწორი იყო მისი საქმისადმი მიდგომა, როცა მოითხოვდა, ახალგაზრდულმა ნაკრებმაც ეროვნულივით ითამაშოსო, მაგრამ... ერთი სიტყვით, ბოსკამპს არ დასცალდა, თორემ შედეგს აუცილებლად მიაღწევდა.

**— ჰოლანდიელმა ნაკრებიდან ზაზა ჯანაშია მოკვეთა. როგორი იყო ბოსკამპი ფეხბურთელებთან ურთიერთობაში?**

— ჯანაშიამ ჩამოსვლა დააგვიანა, მერე კი, როცა ბოსკამპმა წონის დასაგდებად ვარჯიში დაავალა, იუკადრისა, ამდენს „ლოკომოტივშიც" არ მარვაჯიშებენო. შემდეგ ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები, ასე ვთქვათ, ძველები, მივიდნენ ბოსკამპთან და სთხოვეს, ჯანაშია ნაკრებში დაეტოვებინა. კარგი, დავტოვებ ჯანაშიას გუნდში, ოღონდ მითხარით, რატომ უნდა მოვიქცე ასე? რას ჰქვია დაგვიანება და მწვრთნელის მითების შეუსრულებლობა? აქ ხომ ეროვნული ნაკრებზეა ლაპარაკი და ასეთი ფეხბურთელი გუნდს არ სჭირდება. მერე რაღას მეტყვით, როცა დღეს თუ ხვალ ჯანაშია მინდორზეც გიღალატებთო? აი, ასეთი იყო ბოსკამპის პასუხი და პოზიცია.

**— ბოსკამპის რეპუტაციას ის ფაქტი ჩრდილს არ აყენებს, რომ მან „დინამოში" ისეთი ბრაზილიელი ფეხბურთელი მოიყვანა, როგორიც ანდრე დე სოუზაა?**

— მაშინ „დინამო" ჰოლანდია-გერმანიაში იყო შეკრებაზე და ბრაზილიელსაც იქ დავაკვირდით. ორ საკონტროლო მატჩში გამოვცადეთ და მან ბრწყინვალედ ითამაშა, თუმც მოუმზადებელი იყო, რაც ჯანი ჰქონდა, იმ თამაშებს შეალია და „ზიმბრუსთან" მატჩისთვის არ იყო კარგ ფორმაში, მისთვის ცუდ პერიოდში მოუწია თამაშმა. მოსკოვის „სპარტაკის" ბრაზილიელი ფორვარდი რობსონი გავიხსენოთ. მას უკვე მერამდენე წელია, ასე ვთქვათ, თლიან და შედეგად დიდი ვერაფერი მიიღეს. დე სოუზასგან კი გაცილებით უფრო მალე გამოითლებოდა რობსონზე ბევრად უკეთესი თავდამსხმელი.

**— ბოსკამპზე ამდენს იმიტომ გეკითხებით, რომ საქართველოს ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის მოწვევა ახლა ძალიან აქტუალური საკითხია. უშველის საქმეს უცხოელი?**

— ალბათ კი და უცხოელი სპეციალისტის მოწვევის მომხრეც ვარ. თუმც მხოლოდ ერთი კაცი ბევრს ვერაფერს გააწყობს, კიდევ უფრო წინ უნდა გავიხედოთ.

**— თავის დროზე თქვენ სფფ-მ მწვრთნელთა ლიცენზირების ხელმძღვანელობა შემოგთავაზათ, მაგრამ მწვრთნელობა, „გორდას" დამრიგებლობა ამჯობინეთ, ახლა კი უმუშევარი ხართ. არ ნანობთ სფფ-ის შემოთავაზებაზე უარი რამ თქვით?**

— ლექციების კითხვა ჩემი საქმე არ არის, ჩემი ხელობა მწვრთნელობაა, ჰოდა, ამაზე გული არ მწყდება. მწვრთნელად მუშაობა სიამოვნებას მანიჭებს. ძალიან კარგი იქნება თუ ნორმალურ გუნდში მუშაობის საშუალება მომეცემა.

**დავით თავართქილაძე**

**ფინეთი**

XVII ტური

ჯაზი 2:3 ჰაკა

ლაჰტი 2:2 ჰიკ

როვანიემი 1:2 ინტერი

# ჭორია ეს

## რა ვერდერი, რის მილიონი?!

## უკვირს ზაზა ჯანაშიას



ზაზა ჯანაშია

**გუშინ** ერთმა უცხოურმა სააგენტომ ასეთი ცნობა გაავრცელა, ბუნდესლიგის „ვერდერი“ მოსკოვის „ლოკომოტივს“ ქართველ თავდამსხმელ ზაზა ჯანაშიას სანაცვლოდ მილიონ დოლარს სთავაზობსო. ამავე სააგენტოს ცნობით, გერმანელები მოსკოვის „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ მატჩს დასწრებიან, ჩვენებური საქმეში უნახავთ და საბოლოო გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ მიუღიათ.

— პირადად ჩემთვის არავის არანაირი წინადადებით არ მოუმართავს. მეც გავიგე, თითქოს ბრემენის „ვერდერს“ ჩემი გადაბირება მოუსურვებია, მაგრამ ამის მეტი არაფერი ვიცი. არც „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებს უთქვამთ, კლუბიდან ჩემს გაშვებას თუ აპირებენ და არც აგენტებს. ჭორია ეს. რაიმე რეალური რომ იყოს, აუცილებლად მეცოდინებოდა. „ლოკომოტივის“ დატოვების სურვილი ჯერჯერობით არ მაქვს. სეზონის დამთავრების შემდეგ კი ვნახოთ. თუ ნორმალურმა კლუბმა მიმიპატიჟა და შემოთავაზებულმა პირობებმა დამაკმაყოფილა, რატომაც არა, ვიფიქრებ და კარიერას სხვაგან გავაგრძელებ — გვითხრა გუშინ ზაზა ჯანაშიამ სატელეფონო საუბრისას.

**კობა ინასარიძე**



ლუიზ-მარიამი და გიორგი ქინქლაძე

# გიორგი ქინქლაძემ საცოლე მონათლა

**ეს ზაფხული** ბოლო უცოლო ზაფხულია გიორგი ქინქლაძისთვის.

კარგა ხნის ამბავი იყო, რომ გიომ გულისსწორი შეიგულა, ეს ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცოდით, როცა ქინქლაძე „მანჩესტერ სიტიში“ თამაშობდა. იმის შემდეგ კი აგე, რამდენი ხანი გამოხდა.

მანჩესტერელი გოგონა ლუიზ თაი ქართველი ფეხბურთელის ცხოვრების თანამგზავრი შეიქნა და თბილისშიაც არაერთხელ ყოფილა. მათმა ურთიერთობამ დროის გამოცდასაც გაუძლო და ნოემბრისთვის წყვილი თავიანთ პირველ შვილსაც ელის.

გიოს და ლუიზს ჯერ ჯვარი არ დაუწერიათ. ორიოდ წლის წინათ იყო მომენტი, როცა „აიაქსში“ მყოფ ქინქლაძის გადაბირებას „ევერტონი“ ცდილობდა, მაგრამ გიოსთვის შრომის უფლების გამოთხოვას ველარ ასწრებდა და ლივერპულელი მენეჯერები სასწრაფო ქორწინებას ურჩევდნენ ფეხბურთელს — ინგლისელი ცოლი გეყოლება და შრომის უფლების პრობლემაც ავტომატურად მოიხსნებაო. მაგრამ წყვილი არ აჩქარებულა.

ლუიზი და გიო ამ დილით გაემგზავრენ თბილისიდან ინგლისში, სადაც გიო ახალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებს „დერბისთან“ ერთად.

ქორწილისკენ პირველი ნაბიჯი კი უკვე გადადგმულია: გასულ კვირას ლუიზ თაი მართლმადიდებლურად მოინათლა ქაშუეთის ეკლესიაში და ამ ნათლობით მარიამ თაი დაერქვა.

ლუიზ-მარიამ ქინქლაძისა... მალე, ალბათ, ასე იჟღერებს ქართველი ფეხბურთელის გულისსწორის სახელი.

ჩვენ კი ვულოცავთ ოთხმოცდაათიანელთა თაობის უპირველეს ვარსკვლავს მთელს ამ ამბავს.

გიო ქინქლაძე ხომ პირველი იყო, ვისი სახელიც ბომბივით გასკდა დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთში.

**ირაკლი გამყრელიძე**

# მუხინი გაკვეთილებს აცდენს

**მეცამეტე** ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს თბილისის „მერანი“. მართალია, ავჭალელებს ახალწვეულებიც ჰყავთ, მაგრამ დანაკლისი არანაკლებ მნიშვნელოვანია. გუნდი დატოვეს მინაშვილმა, თოლორდავამ, დავითნიძემ, გოდერძიშვილმა და დევაძემ. მათ რიგებს კი შესაძლოა უკრაინელი ლეგიონერი ანდრეი მუხინიც შეემატოს.

მუხინი „მერანს“ მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატის წინ შეუერთდა. მოგვიანებით მას თანამემამულე ნიკოლაი პოდლესნიც შეუამხანაგდა, თუმცა ეს უკანასკნელი მალევე გაბრუნდა უკრაინაში. მუხინმა კი თბილისური კლუბის შემადგენლობაში მთელი სეზონი სტაბილურად ჩაატარა და ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სამშობლოში დასასვენებლად გაემგზავრა.

ამოიწურა შვებულების ვადა და ავჭალელებმა მომავალი ჩემპიონატისთვის მზადებაც დაიწყეს. თუმცა მუხინი რატომღაც აქამდე არ გამოჩენილა. თუ რატომ, ამაზე „მერანის“ ხელმძღვანელობა კონკრეტულს ვერაფერს ამბობდა. გუშინ კი მთავარმა მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ შემდეგი განგვიცხადა:

— მართალია, მუხინი ჯერჯერობით თბილისში არ ჩამოსულა, მაგრამ ამის მიზეზები აქვს. ანდრეი ვოლგოგრადის „როტორში“ იმყოფება გასინჯვაზე. დაიტოვებს თუ არა მას რუსეთის ჩემპიონატის უმაღლესლიგელი „როტორი“, ჯერჯერობით გაურკვეველია. ასე რომ, ლოდინის მეტი არაფერი დაგვრჩენია.

**კახა ზალამბერიძე**



ანდრეი მუხინი

# ოსური სურათი უქართველებოდ

## ალანიამ ფოფხაძე და რუხაძე გასაყიდად გაიყვანა

**ოსური** „ალანია“ უქართველებოდ რჩება.

შორს წაგვიყვანს იმ ქართველ ფეხბურთელთა ჩამოთვლა, სხვადასხვა დროს ამ კლუბის ღირსება რომ დაუცავთ. წლების მანძილზე ვლადიკავკაზურ გუნდს ისე არ უთამაშია რუსეთის ჩემპიონატში, მინიმუმ ერთი ქართველი მაინც არ ჰყოლოდა განაცხადში.

შესაძლოა დროებით, მაგრამ ფაქტია, ოსები უქართველებოდ ითამაშებენ ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებს, რადგან „ალანიას“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ზურაბ ფოფხაძე და თორნიკე რუხაძე ტრანსფერზე არიან დაყენებულნი.

არადა, ჯერ კიდევ რუსეთის ჩემპიონატის დაწყების წინ საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ „ალანიაში“ ერთბაშად ხუთ ქართველს უნდა ეთამაშა. ფოფხაძის და რუხაძის გარდა ოსურ გუნდში მურთაზ შელია, მამუკა წერეთელი და ბესიკ ქარდავაც ემზადებოდნენ, მაგრამ საბოლოოდ ვლადიკავკაზელებმა მხოლოდ რუხაძესთან და ფოფხაძესთან გააფორმეს კონტრაქტი, დღეს კი მზად არიან, ორივეს დაშორდნენ.

21 წლის თორნიკე რუხაძე „ალანიაში“ შარშან „დინამოდან“ გადავიდა, 29 წლის ზურაბ ფოფხაძე კი ოთხი თვის წინ შეუერთდა ოსურ გუნდს. მანამდე იგი „კრილია სოვეტოვის“ ღირსებას იცავდა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ რუსეთის მიმდინარე ჩემპიონატში ქართველებს თითქმის არაფრით გამოუჩენიათ თავი. ისინი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდნენ და აქედან გამომდინარე, კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით უკმაყოფილო არც ერთი მათგანი არ უნდა იყოს.

**ბაადურ ძვანტალიანი**



ზურაბ ფოფხაძე (მარცხნივ) „ალანიას“ აღარ სჭირდება

# ბულგარელებს ბათუმური შეეყარათ

## ქართველებმა წააგეს და მოგებულნი დარჩნენ

**გახსოვთ**, 1997 წელს თასების თასის გათამაშებაში ჩაბმული „ბათუმის“ ხელმძღვანელობის ერთმა შეცდომამ რა შედეგი მოუტანა ზღვისპირულ გუნდს? ბათუმელებმა განაცხადში შეყვანილი დავით სოლოღაშვილი დაუპირისპირეს სომხურ „არარატს“ და 4:2-ით მოგებულ მატჩში საბოლოოდ 0:3 წაგება ჩაეთვალათ.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ მსგავსი რამ შეემთხვა ბულგარულ „სპარტაკსაც“. ვარნელებმა ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპის მატჩში ისეთი ფეხბურთელი ათამაშეს შეცვლაზე, რომელიც, წესით და რიგით, სათადარიგოთა სკამზე უნდა მჯდარიყო. ყოველივე კი ჩვენთვის იმიტომაა საინტერესო, რომ ბულგარელებს მეტოქედ უკრაინული „ტავრია“ ჰყავდათ. სიმფეროპოლის გუნდი, სადაც ერთბაშად სამი ქართველი — ვასილ გიგიაძე, გოჩა ტრაპაიძე და შოთა ჩომახიძე თამაშობს.

„სპარტაკთან“ მატჩში სამიდან ორი ჩვენებური — ტრაპაიძე და გიგიაძე იყო მოედანზე, თუმცა თანაგუნდელთა მსგავსად მათაც ვერაფერი მოუხერხეს მეტოქეს. ვარნელებმა 2:0 მოუგეს უკრაინელებს, მეტის გატანაც შეეძლოთ და მე-60 წუთზე, როდესაც შეხვედრის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, გენადი სიმეონოვი შეიყვანეს მოედანზე. მოგვიანებით ეს ფეხბურთელი მატჩის ინსპექტორმა განაცხადში ვერ აღმოაჩინა და უეფას რისხვამაც არ დააყოვნა — 0:3 წაგება „სპარტაკს“ და კარგი საჩუქარი ქართველების „ტავრიას“.

ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, ქართველებმა ინტერტოტოს თასის გათამაშების მესამე ეტაპზეც ითამაშონ.

**ბაადურ ძვანტალიანი**

სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადება სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის,
აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის,
შიშების მოხსნა, ურთიერთობების პრობლემების მოგვარება.
მიღება წინასწარ ჩაწერით — **29-26-84.**
კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ნატა გელოვანი
(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)

# გურულებმა ლიანდაგზე ადგილი ნახეს

**ორწლიანი** პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულმა ლანჩხუთის „გურიამ“ მეცამეტე ეროვნულისთვის სამზადისი 30 ივნისს დაიწყო გრიგოლეთის ბაზაზე. მართალია, გურულებს შეკრება დაუგვიანდათ და ვარჯიშს უმაღლესი ლიგის გუნდებიდან ყველაზე ბოლოს შეუდგნენ, მაგრამ სულ უვარჯიშებლობას ხომ სჯობს.

ნათქვამია, რაიმე შედეგის მიღწევაზე ძნელი მისი შენარჩუნებააო. ჰოდა, საქართველოს თასის პირველი მფლობელს და ორგზის ვერცხლის პრიზიორს წლევანდელ სეზონში უმაღლეს ლიგაში პოზიციების გასამყარებლად მძიმე ბრძოლები ელის.

სწორედ ამიტომ, გუნდი ახალ სეზონს წესით ჯეროვნად მომზადებული უნდა შეხვდეს, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან გურულებს ასეთი პერსპექტივა დიდად არ უჩანთ. სამზადისის გვიან დაწყებას რომ თავი დავანებოთ, შემადგენლობის დაკომპლექტების კონტურები ჯერ ბუნდოვნადაც არ წარმოჩენილა.

რაც შეეხება გუნდში არსებულ სიახლეებს, უპირველესად უნდა ითქვას, რომ „გურიას“ ახალი ტექნიკური დირექტორი ჰყავს. გასული სეზონის შუაში გაუჩინარებული ვასილ ხაჭაპურიძის ასავალ-დასავალის ძიება მობეზრდათ ლანჩხუთელებს და კლუბის ხელმძღვანელობა ამირან მორჩილაძეს მიანდეს.

მართალია, მორჩილაძის საფეხბურთო გამოცდილება საკმაოდ მწირია, მაგრამ ის რკინიგზის დეპარტამენტის თავკაც აკაკი ჩხაიძესთან ერთობ დაახლოებული პირია და ამ პოსტზე მისი დანიშვნა უთუოდ რკინიგზელთა და გურულთა კლუბის ალიანსის ნაყოფია.

ფაქტია, რომ მათი თანამშრომლობა წლეულსაც გაგრძელდება, თუმც რა სახით, ამაზე გადაჭრით საუბარს ბევრი ერიდება. ისე კი, „გურიას“ საქართველოს რკინიგზიდან გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა რომ ექნება, ესეც ფაქტია.

ახალ სეზონს გურულები ძველი შემადგენლობით ხვდებიან. გუნდის ძირითადი ბირთვი მწვრთნელ ზაზა გურიელიძეს უკლებლივ შეუნარჩუნებია. მხოლოდ გუბაზ დოლიძის ბედი იყო გაურკვეველი. მას კლუბთან გარკვეული პრობლემები ჰქონდა და წასვლასაც აპირებდა, მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინ გრიგოლეთის ბაზაზე გამოჩნდა, კლუბის ხელმძღვანელობასთან ისაუბრა და დარჩენაზეც დათანხმდა.

დიდი ხვითო ჩვენი უმაღლესი ლიგაც რომ არაა, ეს ცხადია, მაგრამ ქვედა ლიგასთან სხვაობა მაინც თვალში საცემია. მართალია, „გურიამ“, ამ შემადგენლობით გასულ სეზონში მიზანს მიაღწია, მაგრამ წლეულს ფონს გასვლა ძლიერ გაუჭირდება. გუნდს გაძლიერება აუცილებლად სჭირდება და, ავად თუ კარგად, ამაზე კლუბის ხელმძღვანელობა ზრუნავს კიდეც. თუმც ჯერჯერობით ახალ ფეხბურთელთა გაგურულება ოფიციალურად არ მომხდარა. საუბრები კი იცოცხლე, ბლომადაა, მაგრამ ვინ მოირგებს „გურიას“ მაისურს, ამას ალბათ მოგვიანებით შევიტყობთ.

თითქმის გადაწყვეტილია ყოფილი მეტალურგების — მირიან გეწაძის და გენადი კაციაშვილის ლანჩხუთში გადმობარგება. იგივე შეიძლება ითქვას გასულ სეზონში „ცხინვალში“ მოთამაშე როინ მარლიშვილზეც.

რაც შეეხება კოლხყოფილ დავით ხუჭუას და იბერიელ კობა ნინუას, მათაც ჰქონიათ „გურიაში“ თამაშის სურვილი და მათი ბედიც უახლოეს დღეებში გაირკვევა.

ამასობაში „გურიამ“ პირველი ამხანაგური მატჩის გამართვა მოასწრო, გრიგოლეთის ბაზაზე ნასტუმრევ „ბათუმს“ 1:1 ეთამაშა. ამ მატჩში ზაზა გურიელიძემ ექსპერიმენტული შემადგენლობა ათამაშა და რამდენიმე ახალწვეულსაც მისცა გამოჩენის შანსი, მათ შორის თბილისის „ლოკომოტივის“ ფარმკლუბელებსაც. შედეგად მწვრთნელმა ზოგი მათგანი გუნდიდან გაუშვა, ზოგიც კიდევ დაიტოვა, მაგრამ სანამდე, მისი გადასაწყვეტი იქნება.

ასეა თუ ისე, უმაღლესში დასაბრუნებლად „გურიამ“ მართალია, მძიმედ, მაგრამ მაინც დაიწყო სამზადისი. რამდენად ნაყოფიერად გამოუვათ ეს გურულებს, ამას სეზონის დაწყებისას შევიტყობთ. მანამდე კი გუნდში ბევრი რამ იქნება მოსაგვარებელი და სიახლეებს, სავარაუდოდ, კიდევ ბლომად უნდა ველოდეთ.

**გოჩა ჯანყშია**



ჯაბა ჯოთიაძის ფოტო

გუბაზ დოლიძე უმაღლესშიც „გურიას“ კარს დაიცავს

# საზაფხულო მიდი-მოდი

| | განსხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** რევაზ ძოძუაშვილი | ახვლედიანი (კოლხეთი), ბობოხიძე (დინამო), პ. ჯინჭარაძე (სოკოლი, სარატოვი, რუსეთი), იმედაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), შეყრილაძე (სამგურალი), ჩხეტიანი (დებრეცენი, უნგრეთი), ვაჩიბერაძე (ბათუმი), ტოგონიძე, არჩვაძე, ვაშაკიძე (?) | სტურუა (თსუ), აკოფიანი (დილა), ლ. ქელიძე, ბერელიძე, გამეზარდაშვილი (ინტერი), ზ. ქუთათელაძე (სამგურალი), გ. შენგელია, პარამონოვი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), პოროშინი (მერიფი, მოლდოვა), თ. მალანია (სკონტო 2, ლატვია) | სამგურალი 0:0, 2:1, მეტალურგი 6:1, 1:0, გურია 5:0 |
| **ლოკომოტივი** კახა ცხადაძე | გ. შენგელია, პარამონოვი (ტორპედო), კვარაცხელია (სკონტო, რიგა, ლატვია), ასლანაძე (გურია); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, დინამო) | გოდერძიშვილი, დავითნიძე, დევიძე (მერანი), ძოძუაშვილი (ერზერუმსფორი 2, თურქეთი), წერეთელი (ტრავმის გამო არ თამაშობდა), კობერიძე, ხურციလავა (ლოკომოტივი 3), სირბილაძე (თბილისი), ქადაგიძე (?); კახა ცხადაძე (მთავარი მწვრთნელი) | გორდა 1:1 |
| **დინამო** გივი ნოდია | ი. შენგელია (მერანი) | მამალაძე (ინტერი), ვ. ქუთათელაძე (?, უზბეკეთი), ამისულაშვილი (იბერია), ბ. შელია (დინამო 2), მიქავა (ტრაბზონსპორი 2, თურქეთი), ხუციშვილი (მერანი), ბობოხიძე (ტორპედო), შალამბერიძე, შავგულიძე (კოლხეთი); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი) | |
| **ვიტ ჯორჯია** ჯანი კარნევალი | | ლ. კვარაცხელია (ზოოვეტი), მამარდაშვილი, არეშიძე, ზ. მეტრეველი, ბეროშვილი (თსუ), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია 2) | რიდი (ავსტრია) 1:0, 1:2, ტრუა (საფრანგეთი) 0:6 |
| **კოლხეთი** სოსო ფილია | შალამბერიძე, შავგულიძე (დინამო), ხუჭუა (მეტალურგი), ლალანიძე (მეტალურგი, კრასნოიარსკი, რუსეთი) | ივეჩიანი (გორდა), მიქელთაძე (იბერია), ახვლედიანი (ტორპედო), ქუტიძე (მუქურა), ვადაჭკორია (სამგურალი) | სამგურალი 1:0, ბათუმი 2:1, მუქურა 2:1 |
| **მერანი** ოთარ გაბელია | გოდერძიშვილი, დავითნიძე, დევიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (დინამო), კორომშინაძე (გორდა), გ. ჩხაიძე (ბათუმი), დევაძე, მ. მინაშვილი, გუჯაბიძე, თოლორდავა, ხუჯაძე, ივანიშვილი, როსტიაშვილი, ოდიშარია (?) | რევაზიშვილი (დილა), ი. შენგელია (დინამო), გაგუა, ხიზანიშვილი (იბერია), თ. ჩხაიძე, ნ. მელაძე, ბერდენაშვილი (ამირანი), მინჯია (თსუ) | |
| **ბათუმი** ასლან ბალაძე | მუავანაძე (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი), თედორაძე (ტავრია, უკრაინა), კაკაბაძე (ტორპედო მაზ, მინსკი, ბელარუსი), პაპიძე, მახარაძე, გელაქორიძე, ელონტი, ა. მუჯირი, ყულეჯიშვილი (?) | თურმანიძე (სამგურალი), ოლგესაშვილი (დილა), გ. ჩხაიძე (მერანი), გეიანიძე (ბოტევი), სიხარულიძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), შ. ლაცაბიძე (იბერია), ზ. გვაზავა (თსუ), გალოგრე (ინტერი), ვაჩიბერაძე (ტორპედო) | კოლხეთი 1:2, გურია 1:1 |
| **სიონი** ფირუზ რეხვიაშვილი | ისიანი (ტორპედო), ასპინძელაშვილი (მილანი), კ. მეტრეველი, დავითაშვილი (?); სპარტაკ არჩვაძე (მთავარი მწვრთნელი) | ფირუზ რეხვიაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | |
| **გორდა** იასონ ალადაშვილი | ივეჩიანი (კოლხეთი), თ. მეტრეველი, გელაძე, ბაჩილავა, გუგუნავა, მჭედლიძე, სოხაძე (?); გია გეგუჩაძე (მთავარი მწვრთნელი) | ვ. კილასონია, გ. კილასონია (თაუზი, თურანი, აზერბაიჯანი), კორომშინაძე (მერანი), ზვ. ლაბაძე (თსუ), ნ. ლობჟანიძე (უეფასგან დის. კვალიფიცირებულია); იასონ ალადაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ლოკომოტივი 1:1 |
| **გურია** ზაზა გურიელიძე | ?. მინაშვილი, ძნელაძე (?), კირკიტაძე (?, გერმანია) | ასლანაძე (ლოკომოტივი), მარლიშვილი (ცხინვალი), ნინუა (იბერია), ყუფარაძე, ტაბატაძე, ნ. ბაქრაძე, სიამაშვილი (ლოკომოტივი 3), მგელაძე (მერცხალი) | ბათუმი 1:1, ტორპედო 0:5 |
| **მეტალურგი** ვასილ ჭეიშვილი | | ხუჭუა (კოლხეთი), თავბერიძე (ინტერი), ჭყონია (მილანი), სანიკიძე (იბერია), ჩალაძე (ზოოვეტი), სუხიაშვილი (თორი), გედენიძე (ზუგდიდი) | ტორპედო 1:6, 0:1, სამგურალი 1:2 |
| **სამგურალი** გია გიგატაძე | კვერნაძე (დებრეცენი, უნგრეთი), ზ. ქუთათელაძე (ტორპედო), ვადაჭკორია (კოლხეთი), თურმანიძე (ბათუმი) | შეყრილაძე (ტორპედო), ო. ფხაკაძე (ოკეანე), ნებიერიძე (მეტალურგი, პერნიკი, ბულგარეთი), კ. ჯანაშია (თორი), ხუნდაძე (ქიაფაზი, განჯა, აზერბაიჯანი), ნაროუშვილი (ინტერი) | კოლხეთი 0:1, ტორპედო 0:0, 1:2, მეტალურგი 2:1 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

ARGENTINA 2001

## ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი
### 1/2 ფინალი

# განა განას შანსი აქვს?!



არგენტინა — პარაგვაი. არგენტინელი ლეონარდო პონციო და პარაგვაელი ფელიპე ხიმენესი

*ნახევარფინალის შედეგები იოლად გამოსაცნობი გამოდგა. არგენტინა, რა თქმა უნდა, ფინალში გავიდა, არც ბრაზილიელთა მძლეველ განელების წარმატება იყო მოულოდნელი.*
*მაშ ასე, კვირას: ან არგენტინა, ან განა...*

**ეგვიპტე 0:2 განა**
**0:1 ინუსაჰი (83), 0:2 ელ ატრავი (88ს.კ.)**
**ეგვიპტე: სობჰი, აბუ ელ მაგდი, ამინი, მაჰმუდი (აბდელვაჰედი 72), ელ ატრავი, შავკი, რეიადი (გერიშა 84), შეჰატა, ელ იამანი, აბუ მოსლემი (ჰავაში 90), ჰამზა**
**მწვრთნელი: შავკი ჯარიბი**
**განა: ბანაჰენი, მუნტარი, ინუსაჰი, ქაიენი, ვილარსი, ბაპოე, ტომპსონი (ოვუსუ-ანსაჰი 74), იბრაჰიმი, პიმპონგი (ოსეი 86), ბოატენგი, მენსა**
**მწვრთნელი: ემანუელ აფრანი**
**გაფრთხილება: აბუ ელ მაგდი, ელ ატრავი**
**მსაჯი: მარკ შილდი (ავსტრალია)**
**10 000 მაყურებელი**

**ეგვიპტის** ნაკრებმა საკმაოდ ლამაზი თამაში აჩვენა შეხვედრის პირველ ნახევარში. ისინი ჩემპიონატისას გეგმაზომიერად მიიწევდნენ წინ და სასურველ კონდიციას, როგორც ჩანს, სწორედ ამ მომენტისთვის მიაღწიეს.

მეოთხედფინალურ მატჩში, სადაც ეგვიპტემ ჰოლანდიელები დაამარცხა, აფრიკელთა საკმაოდ ნიჭიერმა თავდამსხმელმა ელ იამანმა გოლის გატანის შემდეგ გულშემატკივრებს შიგნითა მაისურაზე წარწერა უჩვენა, რომლის თანახმადაც, თურმე ნუ იტყვით და, აფრიკელების სურვილი ფინალურ მატჩში არგენტინელთა წინააღმდეგ თამაში ყოფილა. როგორც ჩანს, ეგვიპტელებს სამხრეთამერიკელების ჯავრის ამოყრა სურდათ, მათ ხომ ჯგუფურ ეტაპზე სასტიკი მარცხი იწვნიეს მასპინძელთაგან — 1:7. თუმც ძალამ აღმართი ველარ მოხნა.

პირველ ტაიმში ჰამზა და ელ იამანი აქტიურობდნენ, იყო სახიფათო მომენტები, თუმც გოლი არ გასულა.

პირველი ტაიმის მიწურულს განელები თითქოს გამოფხიზლდნენ და მათ მეტად სახიფათო კონტრშეტევას ეგვიპტელთა მეკარის შეცდომა მოჰყვა, მაგრამ ბურთი კარის ხაზიდან მცველებმა გამოიტანეს.

მეორე ტაიმი სრულიად საწინააღმდეგო სცენარით წარიმართა, უპირატესობა მთლიანად განის ნაკრებმა იგდო ხელთ და მატჩის მიწურულს ორი გოლი გაიტანა.

განელებმა მეოთხედფინალში ურთულესი ბარიერი გადალახეს, მათ ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტ ბრაზილიელებს სძლიეს, თანაც შეხვედრის მიწურულს გაათანაბრეს, შემდგომ კი ოქროს გოლით ნახევარფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვეს. ბუნებრივია, ამგვარი დაძაბული მატჩი უკვალოდ არ ჩაივლიდა. პირველ ტაიმში განელთა პასიურობაც, ალბათ, სწორედ ამას უნდა მივაწეროთ.

კურიოზული იყო მეორე გოლი. განელთა მეკარე ბანაჰენმა დაარტყა, ბურთი მოწინააღმდეგის ნახევარზე დაეშვა, სადაც საჰაერო დუელის შემდეგ იგი ეგვიპტელმა ელ ატრავიმ მიიღო და საგულდაგულოდ დაარტყა ... საკუთარ კარში.

**არგენტინა 5:0 პარაგვაი**
**1:0, 2:0 სავიოლა (18, 24), 3:0 რომანიოლი (41), 4:0 დალესანდრო (52), 5:0 ერერა (70)**
**არგენტინა: კაბალიერო, ბურდისო, არკა, მედინა (სეტო 73), კოლოჩინი, კოლოტო, პონციო, დალესანდრო, როდრიგესი, სავიოლა (როსალესი 58), რომანიოლი (ერერა 64)**
**მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი**
**პარაგვაი: ბარეტო, დევაკა, ბენიტესი (სოსა ტალავერა 78), ფრეტესი, სალკედო, ესკოველი, ესტიგარიბია, ხიმენესი, დიასი (ვილალბა 58), ბარეირო (ფატეჩა 81), დელ პუერტო ბენიტესი**
**მწვრთნელი: კრისტობალ მალდონადო**
**გაფრთხილება: ესკოველი, კოლოჩინი, ესტიგარიბია, მედინა, დელ პუერტო ბენიტესი, სალკედო**
**გაძევება: ხიმენესი (46)**
**32 000 მაყურებელი**

**აქ ერთმანეთის** პირისპირ სამხრეთამერიკული გუნდები წარსდგნენ, თუმც მათი სათამაშო სტილი საგრძნობლად განსხვავდება. არგენტინა თუ ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარია, პარაგვაელები საკმაოდ უხეშად თამაშობენ და ხშირად ზომიერებასაც კარგავენ. ეს ელემენტი მათი სათამაშო არსენალის განუყოფელი ნაწილია და მაშინ, როცა პარაგვაელები წინა ჩემპიონატებისას მეოთხედფინალს არ გასცდენიან, ახლა ნახევარფინალს უწიეს. ამ შედეგს მათ მთელი ძალა და ენერგია შეალიეს და არგენტინელებთან პირწმინდად დამარცხდნენ.

არგენტინელმა გულშემატკივარმა საკუთარი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებს თიკუნიც შეურჩია — „სავიოლა დეპენტენტი", რაც სავიოლაზე დამოკიდებულს, სავიოლას გუნდს ნიშნავს. ხოსე პეკერმანმა, რომელიც მართლაც რომ შესანიშნავი სპეციალისტია, ერთგვარი პროტესტი გამოთქვა ამასთან დაკავშირებით: „ჩვენ ყველანი დიდ პატივს ვცემთ ხავიერს, იგი უდავოდ დიდი ფეხბურთელია, თუმც ყველამ უნდა იცოდეს, ფეხბურთი გუნდური თამაშია და ვერც ერთი, თუგინდ ჯადოქარი, ვერაფერს შეძლებს თუ სხვებისგან სათანადო მხარდაჭერა არ ექნება. ჩვენს ნაკრებში სავიოლას გარდა სხვა კარგი ფეხბურთელებიც არიან".

მართლაც, პეკერმანის სიტყვები პარაგვაისთან მატჩისას აცხადდა. პირველი ორი გოლი სავიოლამ შეაგდო, რითაც მან ჩემპიონატის ყველა დროის ბომბარდირთა რეკორდი გაიმეორა — 10 გოლი. შემდგომ კი, მეტოქის ხისტი თამაშის მიუხედავად, რომანიოლიმ, დალესანდრომ და ერერამ თავისი მაინც გაიტანეს. გამორჩეულად დასამახსოვრებელი გახლდათ რომანიოლის ულამაზესი გოლი.

ბოლოს კი, ერთი-ორი კარგი სიტყვა ხოსე პეკერმანზეც, რომელიც მასზე ალალია. მისი გუნდი პირველი ტაიმის მერე დიდი ანგარიშით კი იგებდა, მაგრამ არც თავისთვის და არც მოთამაშეებისთვის მწვრთნელს ერთხელაც არ მიუცია თუნდაც ოდნავი მოდუნების უფლება.

**მამუკა ნაცვალაძე**

**მატჩი მესამე ადგილისთვის**
8 ივლისი
**ეგვიპტე — პარაგვაი**

**ფინალი. 8 ივლისი**
**განა — არგენტინა**



ეგვიპტე — განა. განელი სამუელ ტომპსონი და ეგვიპტელი აჰმედ აბუ მოსლემი (წინა პლანზე)

## ევროპის ქალთა ჩემპიონატი

WOMEN'S CHAMPIONSHIP



დანიელი გიტე კროხი (მარცხნივ) და შვედი სოფია ერიკსონი

# გერმანია მეორე ნახევარშიც ძლიერია

**1/2 ფინალი**
**დანია 0:1 შვედეთი**
0:1 ტინა ნორდლუნდი (9)
**გერმანია 1:0 ნორვეგია**
1:0 სანდრა შმისერი (67)

**მატჩი მესამე ადგილისთვის**
7 ივლისი
**დანია — ნორვეგია**

**ფინალი. 7 ივლისი**
**გერმანია — შვედეთი**

**ფინალში** გერმანელი და შვედი ქალები გავიდნენ, რაც სავსებით ლოგიკური შედეგია. ასე რომ, ჩემპიონატი რითაც დაიწყო, გერმანია — შვედეთის მატჩით, იმითვე დასრულდება.

შეჯიბრის დაწყებამდე ითქვა, გერმანია ჩემპიონი გახდებაო და საქმე სწორედ აქეთკენ მიდის. ბუნდესქალებმა აქამდე გამართული ოთხივე თამაში მოიგეს და მეხუთეც თუ ვერ მიაყოლეს, სწორედ რომ სენსაცია იქნება. მით უმეტეს, რომ ჩემპიონატის ნახსენებ პირველ მატჩში გერმანელებმა შვედებს 3:1 მოუგეს.

მარცხის შემდეგ ნორვეგიელთა მწვრთნელმა ეგე სტინმა თქვა, ჩვენი გუნდი უფრო ლამაზია, გერმანიისა კი უფრო ძლიერიო. ალბათ მიხვდებოდით, რომ აქ ქალურ სილამაზეზე კი არა, ლამაზი ფეხბურთის თამაშზეა ლაპარაკი.

ისე, სკანდინავიელები ფინალს მიღმა რომ დარჩნენ, მათივე ბრალია — ჯგუფში ობიექტურად ყველაზე ძლიერნი ისინი იყვნენ და აბა, ვისი ბრალია, პირველ ადგილზე რომ ვერ გავიდნენ? ამ შემთხვევაში ნორვეგია ნახევარფინალში გერმანიასთან შეხვედრას გადარჩებოდა.

გერმანელები კი, რა თქმა უნდა, ბედნიერები არიან. მათმა კაპიტანმა დორის ფიტხენმა თქვა: „ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთიდან წასვლას ვაპირებ და, ცხადია, გამარჯვებულის სახელით მსურს კარიერის დასრულება, რაც ნორვეგიის დამარცხების შემდეგ ფაქტობრივად განაღდებული გვაქვს. თან უცნაური დამთხვევაა, ჩემი სანაკრებო დებიუტი სწორედ ნორვეგიის წინააღმდეგ შედგა". ქალბატონმა დორისმა გვაპატიოს, მაგრამ მისთვის მართლაც დროულია ნაკრებიდან წასვლა — ქალმა უკვე ოცდათხუთმეტს მიუკაკუნა.

მეორე ფინალისტი შვედეთი კი რევანშისთვის ემზადება — ექვსი წლის წინ შვედმა გოგოებმა გერმანიასთან წააგეს ფინალი და ახლა ამბობენ, შურისძიების დროაო. ქალებმა კი შურისძიება ისეთი იციან...

**გიორგი დარჯანია**



# კარში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია

## ტოლდოს არჩევანი: ინტერი და კუპერი

**იტალიურ** სატრანსფერო ბაზარზე დიდი 'ორომტრიალია. „ინტერმა" „პარმასა" და „ფიორენტინასგან" სერჟიუ კონსეისაუ და ფრანჩესკო ტოლდო შეიძინა, ხოლო თავისი ფრანგი მეკარე, ერთობ ფასდადებული სებასტიან ფრეი „პარმასვე" მიჰყიდა. ამრიგად, გამოვიდა, რომ მილანელებმა ფრეის სანაცვლოდ კონსეისაუ და 4,34 მილიონი დოლარი მიიღეს.

რაც შეეხება „სკუადრა აძურას" გოლკიპერ ფრანჩესკო ტოლდოს, რომელიც „შავ-ლურჯთა" კარში ფრეის ნაცვლად ჩადგება, მის ტრანსფერის დეტალებზე არაფერს იტყობინებიან.

შეგახსენებთ, რომ ტოლდო „ფიორენტინას" პრეზიდენტმა, კინომაგნატმა ვიტორიო ჩეკი გორიმ კინაღამ „პარმაში" გაყიდა, რადგან ფლორენციული გუნდი გაკოტრების პირასაა და სასწრაფოდ სჭირდება ფული, მაგრამ თავად მეკარემ ძალიან იყოჩაღა, ლამის ბოიკოტი გამოაცხადა და თავისას მიაღწია — „პარმაზე" სახელოვან კლუბში გადავიდა.

მიაქციეთ ყურადღება, რომ იტალიაში ძალიან მოიმატა მეკარეთა ფასმა. ის, რომ გოლკიპერში გუნდი საკმაოდ კარგ მობურთალს ცვლის და ზედაც ფულს ამატებს, ერთგვარად გაუგონარი ამბავია. საყურადღებო ამბავი მოხდა სამშაბათს, როდესაც ზემოთ ხშირად ნახსენებმა „პარმამ" ტურინის „იუვენტუსს" ნაკრების კიდევ ერთი მეკარე, ჯანლუიჯი ბუფონი მოჰყიდა, რაშიც 32,8 მილიონი დოლარი და ხურდად განაპირა მცველი ჯონათან ბაკინი მიიღო.

**მიხეილ სურგულაძე**

# თავისუფალი რუი კოშტა საჩხუბრად გაიწვიეს

*თურქმა ფატიჰ თერიმმა ოცნება აისრულა. პორტუგალიელი 29 წლის პლეიმეიკერი მანუელ რუი კოშტა ბევრს „პარმას" ფეხბურთელი რომ ეგონა, სამშაბათ საღამოს ლისაბონიდან მილანში ჩაფრინდა. იმ საღამოსვე მილანური კლუბის ოფისში, ვია ტურატიში, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა მას შემდეგ, რაც სამედიცინო შემოწმება გაიარა. „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ „ფიორენტინას" მფლობელს, კინოპროდიუსერ ვიტორიო ჩეკი გორის პორტუგალიელის სანაცვლოდ 42.5 მილიონი დოლარი ჩაუთვალა.*

*„მილანი" და რუი კოშტა ახალი სეზონისთვის მზადებას 16 ივლისს დაიწყებენ , მანამდე კი მანუელ რუი კოშტას იტალიელმა ჟურნალისტებმა პირველი მილანური ინტერვიუც ჩამოართვეს.*

**— მანუელ, კონტრაქტი უკვე გააფორმეთ. პირველი შთაბეჭდილება როგორია?**

— მშვენიერი. ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩინებული არჩევანი გავაკეთე. საერთოდ არ მჩვევია ვინმეს გავლენის ქვეშ ყოფნა, ამიტომაც მიხარია, რომ სურვილი ავისრულე. „მილანი" დიდი კლუბია, შევეცდები, მასთან ერთად მაღალი მწვერვალები დავიპყრო. თუმცა ძალიან ვწუხვარ, „ფიორენტინა" რომ დავტოვე. ერთადერთი, რაც მამშვიდებს, ისაა, რომ „ფიორენტინამ" ჩემში აღებული თანხით ფინანსურად ცოტა მაინც ამოისუნთქა.

**— მართალია, რომ ამბობენ, რუი კოშტას მამა „მილანის" თავგადაკლული ქომაგიაო?**

— კი, ასეა. მე საკის „მილანის" ყურებაში გავიზარდე, ძალიან მომწონდა ვან ბასტენი. ეს გონებაში ჩამრჩა და, ცხადია, ახლაც „მილანისადმი" სიმპათიით ვარ განწყობილი. იოლი შესაძლებელია, „მილანში" მსოფლიოს დონის ვარსკვლავი გახდე.

**— თქვენი „მილანში" მოსვლით ანდრეი შევჩენკო აღფრთოვანებულია...**

— ვიცი რატომაც. მე ვიცნობ შევჩენკოს. ანდრეი დიდი ფეხბურთელია, დიდი პატივია მის გვერდით თამაში. ყველანაირად ვეცდები, პასებით მოვამარაგო.

**— ფლორენციელ ტიფოზებზე რას იტყვით. მათმა საყვარელმა გუნდმა ხომ ამ ორი წლის განმავლობაში ვარსკვლავები დაკარგა, ჯერ ბატისტუტა, ახლა თქვენ და ტოლდო...**

— ყველას დიდ პატივს ვცემ. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რას ვიზამთ. თუმც რომ არა ფინანსური კრიზისი, „ფიორენტინას" ალბათ არც დავტოვებდი.

**— „მილანის" გარდა „ლაციო" და „რეალიც" გეპატიჟებოდნენ, თქვენ კი ჩემპიონთა ლიგაში თამაშს „მილანი" არჩიეთ, რატომ?**

— არ მითქვამს, გინდა თუ არა, ჩემპიონთა ლიგაში მინდა თამაში-მეთქი. ვთვლი, რომ სწორი და რაც ყველაზე მთავარია, თავისუფალი არჩევანი გავაკეთე. „მილანთან" ერთად დიდი შედეგების მიღწევა შეიძლება, ჩემპიონთა ლიგაში თამაშს კიდევ მოვასწრებ.

**— და, რა თქმა უნდა, ფატიჰ თერიმი, მასზე რომ არ გკითხოთ, არ შეიძლება. თერიმმა, როცა „მილანის" მწვრთნელად დაინიშნა, პირველად ეს თქვა, ბედნიერი ვიქნები, ჩემს გუნდში რუი კოშტა რომ მყავდესო...**

— ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ ერთმანეთს და დარწმუნებული ვარ, ჩემი „მილანში" გადასვლა ძალიან გაუხარდა. „ფიორენტინაში" ჩინებულად ვუგებდით ერთმანეთს. თერიმი პიროვნულადაც და პროფესიულადაც ყველგან დაფასებული და დასაფასებელია.

**— „ინტერში" ახლახან გადასულებმა — სერჟიუ კონსეისაუმ და ფრანჩესკო ტოლდომ თქვეს, რუი კოშტასთან „ჯახს" მოუთმენლად ველითო.**

— კონსეისაუც და ტოლდოც ჩემი მეგობრები არიან. კი, ბატონო, გამოწვევას, ცხადია, მინდორზე, მეც დიდი სიამოვნებით მივიღებ.

**თარგმნა გიორგი მუმლაძე**



LA GAZZETTA DELLO SPORT

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისურმა** „ჩარლტონმა" „უიმბლდონიდან" 4.75 მილიონ გირვანქად თავდამსხმელი ჯეისონ იუელი შეიძინა. ფეხბურთელმა ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ხოლო „ჩარლტონმა" კლუბის სატრანსფერო რეკორდი მილიონი გირვანქით გაზარდა. „ჯეისონს კარგა ხანია, ვაკვირდებით. ძლიერი და პერსპექტიული მოთამაშეა, თავდასხმის ხაზს აუცილებლად გააძლიერებს" — განაცხადა „ჩარლტონის" მწვრთნელმა ალან კერბიშლიმ. 24 წლის იუელი „უიმბლდონის" სკოლის აღზრდილია. ლონდონური კლუბის თავკაცმა ტერი ბარტონმა განაცხადა: „სამწუხაროდ, ყოველ სეზონში გვიწევს ერთი-ორი წამყვანი მოთამაშის გაყიდვა. ადრე ნილ რადივენი, კარლ კორტი და დემიენ ტრენსისი გავუშვით, ახლა ჯეისონს უნდა შეველიოთ. იმედი მაქვს, რომ იგი პრემიერლიგაში თავს გამოიჩენს".

**ფრანგულმა „ლილმა", რომელიც აგვისტოში ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს, „დეპორტივოდან" მაროკოს ნაკრების წევრი სალაჰედინ ბასირი გადაიბირა. ფეხბურთელი ბოლო ხანს გალისიური კლუბის ძირითად შემადგენლობაში თითქმის ვერ ხვდებოდა და თავად ისურვა ესპანეთის დატოვება. 28 წლის ბასირმა საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა. მან „ლილთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.**

**ინგლისური** „ლივერპული" მადრიდის „რეალის" მცველ ჟულიო სეზარს ეპატიჟება და მის სანაცვლოდ 5 მილიონ გირვანქას იხდის. 22 წლის ბრაზილიელისთვის წინა სეზონში „სამეფო კლუბის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ მოინახა და იგი იჯარით ჯერ „მილანში" თამაშობდა, ხოლო შემდეგ „რეალ სოსიედადში". აღსანიშნავია, რომ სამხრეთამერიკელის იჯარით აყვანის სურვილს პორტუგალიური „ბენფიკაც" გამოთქვამს.

**ჰოლანდიელ ნახევარმცველ ბუდევინ ზენდენით ორი კლუბია დაინტერესებული — „ნიუკასლ იუნაიტედი" და „ლიონი". თუ ზენდენმა კარიერა საფრანგეთში გააგრძელა, ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, ხოლო თუ ბობი რობსონის გუნდი არჩია, ინტერტოტოს თასზე მოუწევს გამოსვლა. უფრო მოსალოდნელია, რომ ჰოლანდიელმა პრემიერლიგა ამჯობინოს. ინგლისური სააგენტოები კი იუწყებიან, რომ „ნიუკასლი" ყაბულსაა, „ბარსელონას" ზენდენის სანაცვლოდ 7,5 მილიონი გირვანქა ჩაუთვალოს.**

**იტალიური** სააგენტოები იუწყებიან, რომ „ვენეციამ" „ჩელსის" ნახევარმცველი სემ დალა ბონა შეიძინა და მის სანაცვლოდ 9 მილიონი დოლარი გადაიხადა. თავად ფეხბურთელი კი ამ ტრანსფერს ჯერჯერობით უარყოფს. მოელიან, რომ ვითარება უახლოეს დღეებში გაირკვევა. სამაგიეროდ, უკვე გადაწყვეტილია, რომ „პარი სენ ჟერმენის" მცველი ჯიმი ალჟერინო კარიერას „ვენეციაში" გააგრძელებს. იტალიურმა კლუბმა იგი უფასოდ გადაიბირა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

**ირლანდიელი ნახევარმცველი მარკ კენედი „მანჩესტერ სიტიდან" „ვულვერჰემპტონში" გადავიდა. „მგლებმა" იგი 2 მილიონ გირვანქად იყიდეს. აღსანიშნავია, რომ ეს ფეხბურთელი „ვულვზში" ჯერ კიდევ ივნისში უნდა გადაბარგებულიყო, მაგრამ მაშინ ტრანსფერი ჩაიშალა, ახლა კი კენედიმ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. თემურ ქეცბაიას ახალმა თანაგუნდელმა განაცხადა: „მოხარული ვარ, რომ „ვულვერჰემპტონში" ჩავირიცხე. მწვრთნელ დევიდ ჯოუნსს ველაპარაკე და მითხრა, რომ სერიოზული გეგმები აქვს, პრემიერლიგაში სურს დაბრუნება. ვეცდები, ამაში მეც შევიტანო წვლილი".**

**იტალიური** „ინტერი" ახალი მოთამაშეების შეძენას განაგრძობს. მილანელებმა გამოაცხადეს, რომ „ფიორენტინას" ჩეხ მცველ ტომაშ რეპკასთან აწარმოებენ მოლაპარაკებას და ალბათ, გადაიბირებენ. არ არის გამორიცხული, „ინტერმა" ჩეხი იჯარით აიყვანოს, მის სანაცვლოდ კი ფლორენციაში ორი ფეხბურთელი — მატეო ფერარი და მოჰამედ კალონი გაანათხოვროს. მილანელები მალე, ალბათ, „უდინეზესაც" მოურიგდებიან და მათ განელ მცველ მოჰამედ გარგოს შეიძენენ.

**ესპანელმა ნახევარმცველმა ლუის ენრიკემ „ბარსელონასთან" ახალ, სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. 31 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც მიმდინარე შეთანხმება უსრულდებოდა, განაცხადა, რომ კარიერის დასრულებას „კამპ ნოუზე" აპირებს. „ბარსელონაში" ჩინებული წლები გავატარე, ვიმედოვნებ, რომ კარიერის დასრულებამდე კიდევ არაერთ ჯილდოს მოვიგებ" — თქვა 1996 წელს „ბარსაში" მადრიდის „რეალიდან" ჩარიცხულმა ლუის ენრიკემ, რომელმაც კატალონიურ კლუბში 5 სეზონის განმავლობაში 58 გოლი გაიტანა და 1998-99 წლებში ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.**

**ირლანდიის** ნაკრების მოთამაშე რორი დელაპი „დერბი ქაუნთიდან" „საუთჰემპტონში" გადავიდა. 24 წლის ფეხბურთელი სტიუარტ გრეისთვის, გუნდის ახალი მწვრთნელისთვის, პირველი შენაძენია. „საუთჰემპტონმა", „დერბის" დელაპის სანაცვლოდ ოთხი მილიონი გირვანქა გადაუხადა.

**რუმინეთის დოპინგსაწინააღმდეგო კომისიამ პირველ ლიგაში მოთამაშე „არჯეშის" ორი ფეხბურთელი აკრძალული სტეროიდის ხმარებაში დაადანაშაულა. „ადრიან ნიაგამ და გუნდის სარეზერვო მეკარე კრისტიან ბუტურაგამ დოპინგ-ტესტში დადებითი შედეგი აჩვენეს" — განაცხადა რუმინეთის სამედიცინო კვლევის პრეზიდენტმა — მეორე ანალიზიც ანალოგიური გამოდგა. ნიაგა, რუმინეთის 21-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, და ბუტურაგა თავს დამნაშავედ არ ცნობენ. რუმინეთის პროფესიული კლუბების ხელმძღვანელებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პირველი დივიზიონის გუნდებზე, კომენტარისგან თავი შეიკავეს. ლიგის წესების თანახმად, ორივე ფეხბურთელმა ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.**

## ბალტიის თასი

II ტური

### ახალგაზრდულები

**ლიტვა 0:0 ესტონეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ლიტვა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | 1 |

### ეროვნულები

**ლიტვა 5:2 ესტონეთი**

0:1 ანისტე (7), 0:2 შვეცი (35), 1:2 ბუიტკუსი (3), 2:2 ჩესნაუსკასი (46), 3:2 ვასილიაუსკასი (73), 4:2 ტრაკისი (90), 5:2 ვილენიშკისი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 |
| ლატვია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:8 | 0 |

## შვეიცარია

პირველი ეტაპი. I ტური

**სიონი 8:1 ბაზელი**

1:0 მორეირა (5), 2:0 დურუზი (29), 2:1 კუმანტარაკისი (48), 3:1, 4:1, 5:1 პუისი (55, 59, 63), 6:1, 7:1, 8:1 ოიონგი (79, 81, 86)

**სენტ გალენი 3:0 ლოზანა**

1:0 ჟელფერსონი (6), 2:0 მიულერი (45), 3:0 ჟენი (54)

7 ივლისი: გრასჰოპერი — არაუ; ლუცერნი — ქსამაქსი; სერვეტი — ციურიხი; იანგ ბოიზი — ლუგანო

## ბელარუსი

გადადებული მატჩი

დინამო (მინსკი) — ლოკომოტივი 96 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბატე | 11 | 9 | 2 | 0 | 31:13 | 29 |
| ბელშინა | 11 | 7 | 2 | 2 | 16:6 | 23 |
| გომელი | 11 | 6 | 2 | 3 | 11:7 | 20 |
| დინამო (მინსკი) | 10 | 6 | 1 | 3 | 22:10 | 19 |
| ნემანი | 11 | 5 | 4 | 2 | 18:7 | 19 |
| შახტიორი | 11 | 5 | 4 | 2 | 16:10 | 19 |
| სლავია | 11 | 5 | 2 | 4 | 18:10 | 17 |
| დნეპრტრანსმაში | 11 | 5 | 1 | 5 | 14:15 | 16 |
| დინამო (ბრესტი) | 11 | 4 | 1 | 6 | 10:17 | 13 |
| ტორპედო მაზი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:13 | 12 |
| მოლოდეჩნო | 11 | 3 | 3 | 5 | 9:17 | 12 |
| ვედრიჩი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:22 | 7 |
| ლოკომოტივი 96 | 11 | 2 | 1 | 8 | 5:23 | 7 |
| ნაფტან დევონი | 11 | 0 | 1 | 10 | 3:21 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრემე ჯორკაეფს გაებუტა
## მორჩა იტალიური, გერმანულად ვილაპარაკოთ



იური ჯორკაეფი

ჯორკაეფი „კაიზერსლაუტერნის" რეკორდსმენია. კლუბმა მისი ღვაწლი დაივიწყა და უდისციპლინობისთვის, ხელმძღვანელობისადმი უდიერი დამოკიდებულებისთვის თოთხმეტი ათასი დოლარით დააჯარიმა. ამგვარი თანხის გადახდა ადრე „ლაუტერნის" არც ერთ ფეხბურთელისთვის არ დაუკისრებიათ. ფრანგი ნახევარმცველისა და მწვრთნელ ანდრეას ბრემეს გართულებულ ურთიერთობაზე ადრეც გაუწყეთ. ჯორკაეფს გერმანიაში აღარ დაედგომება, მაგრამ „კაიზერსლაუტერნთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს. მისი გადაბირებით თითქოს „ლიონი", პსჟ და ბერძნული პაოკ-ი იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ, ეტყობა, იმ 4,5 მილიონმა დოლარმა, რაც გერმანელებმა ჯორკაეფის მოსურნეებისგან მოითხოვეს, ფეხბურთელი კვლავ მისთვის არასასურველ კლუბში დატოვა.

განაწყენებული იური ჯორკაეფი ერთი ხანობა კორეა-იაპონიაში კონფედერაციის თასის გათამაშებაში ბურთის გორებით იქცევდა თავს, შვებულება ზომაზე მეტადაც გააგრძელა და ანდრეას ბრემესთან საწვრთნელ შეკრებაზე არ გამოცხადდა.

გერმანელებმაც ურჩსა და უდისციპლინო ფეხბურთელს თოთხმეტი ათასი ამოაღებინეს ჯიბიდან. ეს თანხა ვერც ჯორკაეფს გააკოტრებს, ვერც „ლაუტერნის" სალაროს შეავსებს, მაგრამ სასჯელს სხვაგვარი დატვირთვა აქვს. ანდრეას ბრემე ამის თაობაზე ამბობს: „ჯორკაეფის საქციელი ცუდი მაგალითია ახალგაზრდა მოთამაშეთათვის. იქმნება ატმოსფერო, რომელიც გუნდის ფეხბურთელებს მეტის კეთების, კლასის გაუმჯობესების სურვილს უკარგავს და ურჩობისკენ უბიძგებს. მორჩა, მე ჯორკაეფთან იტალიურად აღარ ვისაუბრებ". შეგახსენებთ, რომ თავის დროზე იური ჯორკაეფი და მისი ამჟამინდელი მწვრთნელი სერია A-ში ირჯებოდნენ, თავიდან „ლაუტერნშიც" შეხმატკბილებულნი იყვნენ. ახლა კი ასე ჩანს — მწვრთნელი ფეხბურთელს ორივესთვის გასაგები საამო იტალიურის ნაცვლად ხისტი გერმანული ენითა და მკაცრი ტონით გაესაუბრება ხოლმე.

**გიორგი გამარდაშვილი**

# სენიორ ფუტბოლი სამოცდათხუთმეტი წლისაა

გუშინ სამოცდათხუთმეტი წლისა შესრულდა ალფრედო დი სტეფანო, ტომით იტალიელი, შობით არგენტინელი, მოქალაქეობით ესპანელი ფეხბურთელი.

დი სტეფანო, ეგებ სამყაროს უდიადესი ფეხბურთელიც იყო, რომელსაც არასოდეს უთამაშია მსოფლიოს ჩემპიონატებზე, მაგრამ მადრიდის „რეალს" ხუთჯერ ზედიზედ მოაპოვებინა ჩემპიონთა თასი. ის თამაშობდა დიდოს, ფერენც პუშკაშის, პაკო ხენტოს, ხოსე სანტამარიას და რაიმონ კოპას მხარდამხარ, მაგრამ იმის თქმაც ძნელია, რომ ამ ბრწყინვალე ანსამბლის დირიჟორი იყო. ვინაიდან, ეს დირიჟორობა სანახევროდაც ვერ გამოხატავს ამ რთული, მედიდური, კონფლიქტური, მაგრამ დიადი ფეხბურთელის გავლენას თამაშზე.

ალფ რამსეიმ როგორღაც თქვა: „თუ პელე პირველი ვიოლინოა, მაშინ დისტეფანო მთელი ორკესტრია".

მის მეტსახელთაგან ყველაზე პოპულარული იყო „სენიორ ფუტბოლი ბუენოს აირესიდან".

დიახ, დი სტეფანო მთელი ფეხბურთი იყო და მწვრთნელის კარიერაც საკმაოდ წარმატებული გამოუვიდა. მისი იუბილე წლეულს ხმაურიანი არ იქნება. სამაგიეროდ, გაისად „რეალის" ასი წლისთავის საზეიმო ღონისძიებებზე დი სტეფანო მთავარი ფიგურა იქნება.

**ირაკლი გამყრელიძე**






☎ (231) 7 17 58

# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ²
პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"




რობი ფაულერი და „ლივერპული" ახალი სეზონისთვის მზადებას 10 ივლისს დაიწყებენ

# გეყოფათ გავლა ახლა კარგია სწავლა

*თითქოს გუშინ იყო, უეფას თასის ზღაპრულ ფინალში „ლივერპულმა" ბასკური „ალავესი" რომ დაამარცხა და სეზონი სამი თასის მოგებით გაასრულა. ზეიმი, დროსტარება, დასვენება... წამში გაირბინა შვებულებამ და აგერ უკვე მომავალ სამშაბათს ჟერარ ულიეს გუნდი ლევერკუზენის „ბაიერთან" მატჩით ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს. ცხადია, არც სხვა პრემიერლიგელები არიან გულხელდაკრეფილნი და სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას ინტენსიურ წვრთნასაც უთავსებენ.*

*დღეს ზოგიერთი ინგლისური კლუბის წინასასეზონო შეხვედრათა განრიგს შემოგთავაზებთ.*

### ლივერპული

როგორც უკვე ვახსენეთ, 10 ივლისს ლევერკუზენში „ბაიერს" შეხვდება, მერე კი აზიურ მინი-ტურნეში მიემგზავრება: ჯერ სინგაპურში იქაური ლიგის ნაკრებს ეთამაშება 16 ივლისს, 19-ში კი — ბანკოკში ტაილანდის ნაკრებს. ევროპაში დაბრუნებული „ლივერპული" ამსტერდამის ოთხთა ტურნირში ჩაებმება: 26 ივლისს მისი მეტოქე ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი „ვალენსია" იქნება, 28-ში კი — მასპინძელი „აიაქსი". კიდევ ერთი საწვრთნელი მატჩი 4 აგვისტოს ვულვერჰემპტონში იქაურ „უონდერერსთანაა" დაგეგმილი, ჩემპიონატის დაწყებამდე (18 აგვისტო) კი კარდიფის „მილენიუმზე" „ლივერპული" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ინგლისის სუპერთასს („ჩერითი შილდი") შეეცილებიან ერთმანეთს.

### მანჩესტერ იუნაიტედი

ტრადიციული ჩემპიონი ტრადიციულ აზიურ ტურნეს 22 ივლისს კუალა-ლუმპურში გახსნის მალაიზიის „ოლ სტარზსთან" მატჩით და 29 ივლისს ბანკოკში ტაილანდის ნაკრებთან დაასრულებს. შუაში, 24 ივლისს კი სინგაპურში იქაური ლიგის რჩეულთა გუნდს გაეჯიბრება. როგორც გუშინ გამოცხადდა, ალექს ფერგიუსონი აზიაში უძლიერეს შემადგენლობას იახლებს თავის რუუდ ვან ნისტელროოით. შინ დაბრუნებული „იუნაიტედი" 1 აგვისტოს „ოლდ ტრეფორდზე" შოტლანდიის ჩემპიონ „სელტიკს" უმასპინძლებს და ამ მატჩის მთელ შემოსავალს უელსელ რაიან გიგზს გადასცემს. 4 აგვისტოს მანჩესტერელები მეორედივიზიონელ „რექსჰემს" ესტუმრებიან, 8-ში კი ასევე მეორედივიზიონელ „ბერის". 12 აგვისტოს, მოგეხსენებათ, კარდიფში „ლივერპული" ელით.

### არსენალი

ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთი ინგლისელი მონაწილე მზადებას, ისევე როგორც ბოლო წლებში, ლონდონის გარეუბანში, ნონ-ლიგის „ბორემ ვუდთან" თამაშით იწყებს. ეს შეხვედრა 13 ივლისს შედგება. 21-ში „არსენალი" წლეულს მესამე დივიზიონში აღზევებულ „რაშდენ ენდ დაიმონდს" ესტუმრება, მერე კი ავსტრიაში გადაინაცვლებს, თუმცა იქაურ გუნდებს არ გაეჯიბრება: 25 ივლისს მისი მეტოქე გერმანული „მიუნხენ 1860" იქნება. (ინსბრუკში), 30 ივლისს — ესპანური „მალიორკა" (კუფშტაინში), 1 აგვისტოს კი — სერია A-ს გამარჯვებული „რომა" (გრაცში). ამას გარდა, ვენგერის გუნდი 7 აგვისტოს პირველდივიზიონელ „ნორვიჩ სიტის", 11-ში წლეულს მესამე დივიზიონიდან გავარდნილ, ლონდონისავე „ბარნეტს" ეთამაშება. ორივე მატჩი მეტოქეთა მინდორზე შედგება.

### ლიდსი

დევიდ ოლირი თავის ბიჭებს თვის ბოლოს შვედეთში წაიყვანს და იქაური ქვედა ლიგის სამ გუნდს გააჯიბრებს. კიდევ ერთი საერთაშორისო საწვრთნელი შეხვედრა „ლიდსს" 10 აგვისტოს როტერდამში, აწ უკვე ფრენკ რაიკარდის „სპარტასთან" აქვს დაგეგმილი, დანარჩენი მეტოქეები კი ინგლისელი ქვედალიგელები იქნებიან: 5 აგვისტოს „სკანთორპი" (III), 7 აგვისტოს „პრესტონი" (I), 8-ში (!) კი — „იორკ სიტი" (III).

### იფსვიჩი

გასული სეზონის აღმოჩენა და უეფას თასის საგზურის მომხვეჭი „იფსვიჩი" ბალტიისპირეთში მოემზადება. 18 ივლისს ფინურ „ტამპერეს" შეხვდება, 20 ივლისს — ასევე ფინურ „ვაასას", 22-ში კი — ტალინში იქაურ „ფლორას". სამი თამაში აქვთ დაგეგმილი იფსვიჩელებს აგვისტოშიც: 4-ში შინ ჰოლანდიის ჩემპიონ პსვ-სთან, 7-ში და 9-ში კი ირლანდიაში „დუბლინთან" და „ბრეი უონდერესთან".

### დერბი ქაუნთი

გიო ქინქლაძის გუნდიც გეგმავს თავისი მეკარის მარტ პოომის სამშობლოში გამგზავრებას („ფლორასთან" მატჩი 6 აგვისტოს შედგება), მანამდე კი ქვედალიგელ თანამემამულეებთან გაივარჯიშებს: 28 ივლისს „შეფილდ უენსდისთან" (I), 1 აგვისტოს „სეინდონ თაუნთან" (II), 4-ში კი „სტოკ სიტისთან". ერთადერთ საშინაო საწვრთნელ შეხვედრას „დერბი" 10 აგვისტოს ესპანურ „ბარსელონასთან" გამართავს.

### ჩელსი

რატი ალექსიძე თავის გუნდთან ერთად იტალიაშია და იქ გადის სეზონისწინა მზადებას, რომლის დროსაც დაგეგმილია შეხვედრები მოყვარულთა გუნდებთან. კუნძულზე დაბრუნებული „ჩელსი" 25 ივლისს ლონდონისვე „ლეიტონ ორიენტს" (III) ეთამაშება, 28-ში კი — ასევე თანაქალაქელ „ქუინზ პარკ რეინჯერსს" (II). ბოლო საწვრთნელ მატჩს რანიერის გუნდი 4 აგვისტოს პირველდივიზიონელ „ბარნლისთან" ჩაატარებს.

### ფულემი

ეგვიპტელი მილიარდერის მოჰამედ ალ-ფაედის პრემიერლიგაში წლეულს აღზევებული „ფულემი" მზადებას საფრანგეთში დაიწყებს. მისი პირველი მეტოქე 13 ივლისს „ნანსი" იქნება. 17 ივლისს ლონდონელები შინაურ „კრივენ კოტეჯში" პრაღის „სპარტას" უმასპინძლებენ, სამ დღეში კი გლაზგოს „სელტიკთან" მოსინჯავენ ძალებს. აგვისტოს განრიგი ასეთია: 1 აგვისტოს სტუმრად „კრისტალ პალასთან" (I) თამაშის შემდეგ კვლავ საფრანგეთში ჩავა და პატარა ქალაქ ტუკეში კატალონურ „ესპანიოლს" შეხვდება. კიდევ ერთი ესპანური გუნდი, უეფას თასის ფინალისტი „ალავესი" კი „ფულემს" 11 აგვისტოს ესტუმრება.

### ნიუკასლი

ბოლო მომენტში მიღებულმა ინტერტოტოს საგზურმა ჯორდებს ჩინური ტურნე ჩაუშალათ, ამიტომ, ამჟამად მხოლოდ ორი საწვრთნელი მატჩის თარიღია ცნობილი: 4 აგვისტოს შეფილდში „უენსდისთან" და 11 აგვისტოს „სენტ ჯეიმსი პარკზე" ბილბაოს „ატლეტიკთან". ამ შეხვედრის მთლიანი შემოსავალი რობერტ ლის გადაეცემა.

# ევროპული ტრანსფერები

## ინგლისი

**არსენალი:** ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია); **ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი).**

**ასტონ ვილა:** **ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი).**

**ბლეკბერნი:** ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); **გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი).**

**ბოლტონი:** მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლექპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი); **ნიკი საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია).**

**ჩარლტონი:** ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); **შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ჯეისონ იუელი (უიმბლდონი).**

**ჩელსი:** სტივენ ბროდი (საუთენდი), გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი); **უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნაითი (ქუინზ პარკი), სემ პარკინი, რობერტ უოლესტონი (ორივე ნორთჰემპტონი).**

**ევერტონი:** ფრენსის ჯეფერსი (არსენალი); **ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია).**

**დერბი ქაუნთი:** რორი დელაპი (საუთჰემპტონი); **ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ფაბრიციო რავანელი (ლაციო, იტალია).**

**ფულემი:** საიმონ მორგანი (ბრაიტონი); **ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდელსალიმ უადუ (ნანსი, საფრანგეთი).**

**იფსვიჩი:** რიჩარდ რაიტი (არსენალი); **პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი).**

**ლიდსი:** უორენ ფინი (ბორნმუთი); **რობი კინი (ინტერი, იტალია).**

**ლესტერი:** სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); **დენის უაიზი (ჩელსი).**

**ლივერპული:** იან არმსტრონგი (პორტველი); **იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი).**

**მიდლსბრო:** **შილარდ ნემეტი (ინტერი, სლოვაკეთი).**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტველი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი); **რუუდ ვან ნისტელროი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია).**

**ნიუკასლი:** დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); **რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი).**

**საუთჰემპტონი:** ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა); **რორი დელაპი (დერბი ქაუნთი).**

**სანდერლენდი:** კარსტენ ფრიდგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი); **ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმეკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელონი (კანი, საფრანგეთი).**

**ტოტენჰემი:** ნილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი); **ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია).**

**ვესტ ჰემი:** მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო); **სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი).**



რუუდ ვან ნისტელროი და ალექს ფერგიუსონი

## იტალია



ფრანჩესკო ტოლდოს ავტოგრაფის მსურველნი არც მილანში მოაკლდება

**ატალანტა:** ივან პელიცოლი (რომა), მასიმო დონატი (მილანი), კრისტიან ძენონი (მილანი), დომენიკო მორფეო (ფიორენტინა), სტეფანო გალო (ტერნანა), მარკო ნაპი (ტერნანა), ნიკოლა ვენტოლა (ინტერი), ნილ სივილია (რომა), მაურიციო განცი (თამაში მიატოვა); **ლუკა საუდატი (მილანი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ჯანი კომანდინი (მილანი), ლუიჯი სალა (მილანი), მასიმო ტაიბი (რეჯინა), ალესანდრო რინალდი (რომა), ფაბიანო (ბაია, ბრაზილია), კორადო კოლომბო (ინტერი), პიეტრო ფოლიო (ვენეცია), უსმან დაბო (მონაკო, საფრანგეთი).**

**ბოლონია:** ფრანსისკო ლიმა (რომა), ჯონათან ბინოტო (ინტერი), ენცო მარესკა (იუვენტუსი), მარკო როკატი (ნაპოლი); **ფაბიო მაჩელარი (ინტერი), ანტონიო ბელუჩი (ნაპოლი), სტეფანო გორეტი (პერუჯა), პიერპაოლო ძაკარდო (სპეცია), ნიკოლა კოპოლა (ნაპოლი), მატეო ბრიგი (იუვენტუსი), მარკო როკატი (დანდი, შოტლანდია).**

**ბრეშა:** მასიმილიანო კაპუტო (ლივინგსტონი, შოტლანდია), სტეფანო ბიზოლი (პისტოიეზე), ფილიპო გალი (თამაში მიატოვა), ანტონიო მარინო (თამაში მიატოვა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (ინტერი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი); **მელვინ ბრაუნი (დერტონა, ავსტრალია), ფრანკო კარაჩიოლო (პრო ვერჩელი), ხორხე სალგადო (დეპორტივო უაჩიპატო, მექსიკა), ნიკოლა გრანდე (ფროზინონე), კარლო მერო (ტერნანა), დავორ იავორჩიჩი (კროტონე), ჯუზეპე ტინონზინი (კოდონო), მარკო ბრონოლი (სან ანჯელო), დარიო დაინელი (ლეჩე), მარკუს შოპი (შტურმი, ავსტრია).**

**კიევო:** სტეფანო კარბონე (პისტოიეზე), კრისტიანო გარძონი (პავია), ჯუზეპე მარკონი (ტერნანა), დავიდე ფრანჩესკინი (რეჯინა); **მარკო ძანკეტა (რეჯინა), სტეფანო მარაცინა (რეჯინა), კრისტიანო ლუპატელი (რომა), პიერო რეგროტალიე (მოდენა).**

**ფიორენტინა:** მაურო ბრესანი (ვენეცია), სალიუ ლასისი (პარმა), დანიელე ბონორა (პისტოიეზე), მანუელ რუი კოშტა (მილანი); **დანიელ ანდერსონი (ბარი), დეიან სტანკოვიჩი (ლაციო), რობერტო კასანო (ვოგერა), ეზეკელ გონსალესი (როსარიო სენტრალი, არგენტინა), არის ვაკუფცისი (რავენა), მარკო მარკიონი (ემპოლი), დომენიკო მორფეო (ატალანტა), ლუიჯი ბენინი (ტერნანა), გორან დრულიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია).**

**ინტერი:** ფაბიო მაჩელარი (ბოლონია), ჯანლუკა ლიძორი (ტერნანა), კორადო კოლომბო (ატალანტა), სტეფანო ფიორე (ტორინო), ადრიან მუტუ (ვერონა), სებასტიან ფრეი (პარმა), ანდრეა პირლო (მილანი); **კორადო კოლომბო (ტორინო), ემრე ბელოზოღლუ (გალათასარაი, თურქეთი), სტეფანო ფიორე (ლეჩე), სალვატორე ფრეზი (ნაპოლი), სტეფანო ლომბარდი (პერუჯა), კრისტიან მენეზესი (ნასიონალი, ურუგვაი), ოკან ბურუქი (გალათასარაი, თურქეთი), სიქსტო პერალტა (ტორინო), მარტინ რივასი (მალაგა, ესპანეთი), ანსელმო რობიატი (პერუჯა), ნიკოლა ვენტოლა (ატალანტა), ნელსონ ვივასი (არსენალი, ინგლისი), ალბერტო ფონტანა (ნაპოლი), კრისტიანო ძანეტი (რომა), ჯონათან ბინოტო (ბოლონია), მოჰამედ კალონი (ვიჩენცა), მარკო მატერაცი (პერუჯა), დიეგო კანეირა (რეჯინა), ანდრეს გულიელმინპიეტრო (მილანი), სერჟიუ კონსეისაუ (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა).**

**იუვენტუსი:** რაფაელე ამეტრანო (ნაპოლი), მატეო ბრიგი (ბოლონია), ფილიპო ინძაგი (მილანი), მასიმო პეროტა (ბარი), დარკო კოვაჩევიჩი (ვალენსია, ესპანეთი), ჯონათან ბაკინი (პარმა); **ლილიან ტურამი (პარმა), მარკო ძანკი (ვიჩენცა), რაფაელე ამეტრანო (კროტონე), ჯონათან ბაკინი (ბრეშა), ენცო მარესკა (ბოლონია), ფაბიო პეკია (ნაპოლი), მასიმო პეროტა (ბარი), ნიკოლა ამორუზო (ნაპოლი), პაოლო სკული (კროტონე), მასიმილიანო ვიერი (ანკონა), კრისტიან ძენონი (მილანი), ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი).**

**ლაციო:** დეიან სტანკოვიჩი (ფიორენტინა), სტეფანო დომიცი (მილანი), ფაბრიციო რავანელი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), **სეზარ როდრიგესი (სან კაეტანო, ბრაზილია), სტეფანო ფიორე (უდინეზე), ჯულიანო ჯანიკედა (უდინეზე), ანდრეა კომაცი (მილანი), ივან დე ლა პენია (ბარსელონა, ესპანეთი).**

**ლეჩე:** დარიო დაინელი (ბრეშა), სტეფანო ფისორე (ინტერი), დიეგო ლოტი (აველინო), ანტონიო კონვერნსანო (დი სანგრო), ფილიპო მანიტა (მესინა), ედუსეი (კოზენცა), ნიკოლა ვაზარი (სამპდორია); **დიურიკ ვინკლაარი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ანსელმო ბილოტი (რავენა).**

**მილანი:** ნასიმენტუ ლეონარდო (სან პაულუ, ბრაზილია), ლუიჯი სალა (ატალანტა), ანდრეს გულიელმინპიეტრო (ინტერი), ჯანი კომანდინი (ატალანტა), ლუკა საუდატი (ატალანტა), პიერლუიჯი ორლანდინი (ატალანტა), მასიმო მაკარონე (ემპოლი), ანდრეა რაბიტო (მოდენა), სტეფანო დომიცი (მოდენა), ანდრეა კომაცი (ლაციო), მირკო სადოტი (პესკარა), კარლო ტეოდორანი (ვერონა), კრისტიან ძენონი (იუვენტუსი), მარკო ტოპიჩი (კოტბუსი, გერმანია); **კოზმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), ხავი მორენო (ალავესი, ესპანეთი), მასიმო დონატი (ატალანტა), კრისტიან ძენონი (ატალანტა), ფაბრიციო კოლოჩინი (სან ლორენსო, არგენტინა), სირილ დომორო (ბასტია, საფრანგეთი), ნიკოლა კორენტი (სიენა), დრაჟენ ბრნჩიჩი (ვიჩენცა), ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), მანუელ რუი კოშტა (ფიორენტინა), ანდრეა პირლო (ინტერი), მასიმო მაკარონე (ემპოლი), ნიკოლა დომიცი (ლაციო), ნემანია ვუჩიცევიჩი (ოფკ, იუგოსლავია).**

**პარმა:** ლილიან ტურამი (იუვენტუსი), ანდრეა დიმპორძანო (უდინეზე), მატეო გუარდალბენი (პიაჩენცა), ადაილტონი (ვერონა), ანტონ სერიჩი (ვერონა), დიეგო ფუზერი (რომა), სალიუ ლასისი (რომა), რაფაელე ლონგო (რომა), ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარსიო ამოროზო (დორტმუნდი, გერმანია), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი); **ემილიანო ბონაცოლი (ვერონა), პაოლო პოჯი (რომა), მარტინ ლაურსენი (ვერონა), ჯოვანი გრიეკო (ჯენოა), სალიუ ლასისი (ფიორენტინა), ჯამპიერო მაინი (ვენეცია), კრისტიანო მორა (ტორინო), ჯუზეპე კარდონე (ვიჩეცა), მაურო მილანეზე (პერუჯა), სერგეი გურენკო (რომა), ამადეო მანგონე (რომა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), სებასტიან ფრეი (ინტერი).**

**პერუჯა:** მარკო მატერაცი (ინტერი), ლუკა საუდატი (მილანი), მიროსლავ ზაკეი (ემპოლი), სტეფანო გორეტი (ბოლონია), სტეფანო ლომბარდი (ინტერი), ანსელმო რობიატი (ინტერი), მარკო რივალტა (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პარმა); **ჯონ მაური (სტანდარდი, ბელგია), შაბონე სპანი (კონექტი, ტრინიდადი და ტობაგო), სტეფანო გროსო (კიეტი), ჟაკემინი (სტანდარდი, ბელგია), ჟან გალერი (ანდერლეხტი, ბელგია), ანტონიო კინალი (ვენტელა), რობერტო დი ფრანჩესკო (ინდიპენდიენტე, არგენტინა), ანტონიო ფუზანი (ბრეშელო)**

**პიაჩენცა:** ფლავიო რომა (მონაკო, საფრანგეთი), პაოლო კრისტალინი (ვიჩენცა), ნიკოლა არტიკო (პესკარა); **პალმიერი (პესკარა), სტეფანო მატეასი (ბრეშელო), ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), მატეო გუარდალბენი (პარმა), ანტონიო ნიკოლეტი (რეჯანა).**

**რომა:** ეუსებიო დი ფრანჩესკო (პიაჩენცა), ალესანდრო რინალდი (ატალანტა), კრისტიანო ძანეტი (ინტერი), პაოლო პოჯი (პარმა), ვინჩენცო დაგოსტინო (ბარი), კრისტიანო ლუპატელი (კიევო), ამადეო მანგონე (პარმა), სერგეი გურენკო (პარმა), რაფაელე ლონგო (პალერმო); **ფრანსისკო ლიმა (ბოლონია), ივან პელიცოლი (ატალანტა), ანტონიო კასანო (ბარი), ნილ სივილია (ატალანტა), ივან ტომიჩი (ალავესი, ესპანეთი), პაოლო პოჯი (ბარი), დიეგო ფუზერი (პარმა), სერგეი გურენკო (სარაგოსა, ესპანეთი), სალიუ ლასისი (პარმა), რაფაელე ლონგო (პარმა).**

**ტორინო:** ჯიბრილ დიავარა (ბოლტონი, ინგლისი), კორადო კოლომბო (ინტერი), სიქსტო პერალტა (ინტერი), კრისტიანო მორა (პარმა); **პიერლუიჯი პაოლეტი (აკილა), ანტონიო ბალძარეტი (ვარეზე), ფრანკო (პენიაროლი, ურუგვაი), ეუჯენიო სორენტინო (ვარეზე), სტეფანო ფისორე (ინტერი), მარკო ტირიბოკი (სიენა), ფაბიენ ასტა (ნაპოლი).**

**უდინეზე:** სიაბონგა ნომვეტე (კაიზერ ჩიფსი, სამხრეთ აფრიკა), სტეფანო ფიორე (ლაციო), ჯულიანო ჯანიკედა (ლაციო); **ანდრეა დიმპორძანო (პარმა), ნიკოლა ელი (სალერნიტანა), მარტინ კროლდრუპი (აკადემისკი, დანია), ფაბიან მარტინესი (ტოლუკა, მექსიკა), დიკ მეერდინკი (გრააფსხაპი, ჰოლანდია), მაურისიო პინედა (ნაპოლი), ანტონიო სკარლატო (რავენა), ხუან პავონი (ატლეტიკო მორეილა, კოლუმბია), ნიკოლა ბედინი (სამპდორია).**

**ვენეცია:** ჯამპიერო მაინი (პარმა), ანტონიო მაზიოლო (ლუმეცანე), მარკო ლუპი (თამაში მიატოვა), პიეტრო ფოლიო (ატალანტა); **მაურო ბრესანი (ფიორენტინა), ხუან მანუელ კარერი (ალიანსა, პერუ), მირკო ცვიტანოვიჩი (ვერონა), სტეფან ბუდანი (ბელინცონა), ჯუზეპე ჯიოკინი (სავოია), ჯიმი ალჟერინო (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი).**

**ვერონა:** მარტინ ლაურსენი (პარმა), ემილიანო ბონაცოლი (პარმა), სტეფანო სგრინა (ვიჩენცა), ემანუელე ფერარეზე (ჩიტადელა), მირკო ცვიტანოვიჩი (ვენეცია); **ანტონიო დილიზო (კალიარი), ადაილტონი (პარმა), ადრიან მუტუ (ინტერი), ჯოვანი ალიეტი (პისტოიეზე), კარლო ტეოდორანი (მილანი).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

# ოთხი პარტიის ისტორია

## ტალმა ასწავლა, ფიშერმა ისწავლა

**დავიწყოთ** იუგოსლავიით, რომელსაც არაერთი მოჭადრაკე (მაგალითად, ნონა გაფრინდაშვილი) მეორე სამშობლოს უწოდებს. ახლაც, როცა ბალკანურ ქვეყანას ეთნოკონფლიქტები და ნატოს რაკეტები არყევენ, იუგოსლავია საჭადრაკო სახელმწიფოდ რჩება. მაშინ კი, 30-40 წლის წინ, პათეტიკურად თუ ვიტყვით, ქვეყანა ჭადრაკით ცხოვრობდა. უფრო კურორტებზე, ქალაქებში და თვით დედაქალაქ ბელგრადში წამდაუწუმ იმართებოდა ტურნირები, რომლებზეც მთელი მსოფლიოს ელიტა თამაშობდა ხოლმე და აი, ერთი მათგანიც:

ბლედი (მაშინ იუგოსლავიის, დღეს სლოვენიის ქალაქი), 1959 წელი, პრეტენდენტთა ტურნირი უსასტიკესი კონკურენციით. მიხაილ ბოტვინიკთან მატჩის უფლებისთვის იბრძოდნენ იმ დროის გრანდები — მსოფლიოს ექსჩემპიონი ვასილი სმისლოვი, ჩინებული სათამაშო ძალითა და მიღწეულის განმეორების დიდი ამბიციით; მომავალი ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი, თბილისელი სომეხი, რომელსაც მშრალი, პოზიციური თამაშის სიყვარულისთვის „რკინის ტიგრანს“ ეძახდნენ; პაულ კერესი — ბალტიისპირელი ჯენტლმენი და საჭადრაკო უნივერსალი, „მარადმწვანე მეორე“ ჭადრაკის რანგთა ტაბელში; სვეტოზარ გლიგორიჩი — უძლიერესთა მუდმივი თავსატკივარი.

და კიდევ ორნი დიდოსტატთა ლეგიონის ნალებიდან: რიგელი ახალგაზრდა მიხაილ ტალი და ჩიკაგოელი ყმაწვილი რობერტ ფიშერი, რომელსაც უფრო ბობის უხმობდნენ. ესენი შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ ორივეს მეფობა დღემოკლე იყო — ტალმა მომავალ წელსვე მიბარებულივით დაუბრუნა გვირგვინი ბოტვინიკს, ხოლო ფიშერის ამბავი სულ ცალკე ისტორიაა, სავსე სკანდალებითა და სენსაციებით. როგორმე სხვა დროს იყოს...

წერილის დედააზრი შემდეგია: ტალმა და ფიშერმა მსოფლიო ჭადრაკს აზარტი დაუბრუნეს. ეს ის დროა, როცა ბრძენთა თამაშს ნელ-ნელა რომანტიკა აკლდება: ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს სტეინიცმა ჭადრაკში მეცნიერული სული დაამკვიდრა [illegible] ცალკე გამონაკლისთა მიუხედავად თამაში სულ უფრო ემსგავსებოდა მავან სამეცნიერო დისციპლინას, სადაც ყველაფერი ახსნილია და დალაგებული. ბოტვინიკი სწორედ „მშრალი ჭადრაკის“ აპოლოგეტი გახლდათ და იგებდა. იგებდა იმიტომ, რომ საათობით, დღეებით, თვეობით იჯდა დაფასთან, სწავლობდა იმას, ნელ-ნელა როგორ ეშენებინა მიუვალი პოზიციები, ნამცეცობით ეგროვებინა უპირატესობა (სტეინიცის თეორია) და დაეწყო მეტოქის მოხრჩობა მხოლოდ მაშინ, როცა წარმატებაში თითქმის დარწმუნებული იყო. მხოლოდ სმისლოვმა მოახერხა ბოტვინიკის სულ ცოტა ხნით დამხობა და მალე მიხაილ მოისეევიჩი კვლავ მეფე გახდა თავის ლოგიკითა და ანალიზით. ხოლო ის, რის გამოც ჭადრაკს ხელოვნებასაც უწოდებდნენ, წინა საუკუნის არქივებს თუ შერჩენოდა და ამ დროს გამოჩნდა ტალი — ვუნდერკინდი ბავშვობისას და ქაოსის გენიოსი მოზრდილობაში.

ტალი მართლა ვუნდერკინდი იყო: მამამისი, რიგელი ექიმი, სამამულო ომის გაჩაღებისას ურალში გადაიყვანეს და მიშას სკოლამ იქ უწია — პირდაპირ მესამე კლასში მოხვდა. ხელოვან დედას ორჯერ გამეორება არ სჭირდებოდა, ტალი უცებ ითვისებდა ურთულეს მუსიკალურ ნოტებს, წიგნს წიგნზე ნთქავდა და პირველსავე წელს ინსტიტუტშიც იოლად ჩაირიცხა. ერთადერთი ოთხიანი მიიღო — რომელიღაც გამოცდაზე რაღაც გონებამახვილური სიტუტუცე თქვა და იმიტომ. ტალი იუმორით სავსე, ვერცხლისწყალივით მოძრავი გახლდათ და რა გასაკვირია, რომ მისი დიპლომის თემა იყო „სატირა ილფისა და პეტროვის „12 სკამში“, სადაც კლასიკურად აღწერა ოსტაპ ბენდერის ნატურა. მეორე თვისება კი ჭადრაკშიც გადაჰყვა მოუთმენლობასთან ერთად. ტურნირებში ტალი მეტწილად სცენაზე მიმოდიოდა გალის ვეფხვივით და ვინ მოთვლის, რამდენი ნაღდი პარტია წაუგია იმიტომ, რომ უპირატესობის რეალიზებისთვის მოთმინება არ ჰყოფნიდა და სულ ახალ-ახალ, ელეგანტურ, ხანდახან დამღუპავ იდეებს იგონებდა. ტალს სძულდა რეჟიმი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალისას დროულად ძილი უბრძანეს, ის კი პაემანზე გაიპარა და მოსკოვში მთელი ღამე ნახეტიალევი დილას მილიციაში იპოვეს — პასპორტი არ ჰქონია ჯიბეში. ამნაირი უწესრიგო კაცი 16 წლისა ლატვიის ჩემპიონი გახდა, 1957-დან 1960-მდე უბრალო ოსტატობიდან მსოფლიო ჩემპიონობამდე ამაღლდა. მას ეძახდნენ „მეკობრეს“, „ბრაკონიერს“, რომელიც ჭადრაკის არც ერთ წესს არ ემორჩილება. ცხოვრების ბოლომდე ასეთი დარჩა — მოძრავი, სულსწრაფი, მოცინარი, „უწესო“, ნიჭიერი, დარდიმანდი, მოქეიფე და რაც მთავარია, უაღრესად კეთილი, ვის ლექსიკონშიც სიტყვა „არა“ არ მოიძებნებოდა.

ბლედის პრეტენდენტთა ფინალამდე ტალმა ორჯერ მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. ცხადია, თავის სტილში: აუარება მოგებებით, გვარიანად წაგებებით და მიზერულად მცირე ყაიმებით. პორტოროჟში, საზონათაშორისო ტურნირზე, ბებერ და ახალგაზრდა გიგანტებს — ბრონშტეინს, კერესს, პეტროსიანს, კორჩნოის, სპასკის, გელერს, ტაიმანოვს გაუსწრო და პირველი ადგილი დაიკავა. მართო მაშინ გაჩუმდნენ სკეპტიკოსები, რომელთა აზრით, ტალის ქაოსი მხოლოდ სუსტებთან ჭრიდა, მაღალი ერუდიციისანნი კი მას იოლად გააცამტვერებდნენ. ბლედში ტალი ფავორიტად ჩავიდა, ხოლო 16 წლის ბობი ფიშერი სათვალავში არავის ჩაუგდია. ჯერ ახლა არ ითვლება ეს ასაკი საჭადრაკო სიმწიფისთვის საკმარისად, მაშინ — მით უმეტეს. მერე რა, რომ ბობი ამერიკის ჩემპიონი იყო. ამერიკელების ჭადრაკის რა მცოდნიაო, ამრეზით იტყოდა, ალბათ, მავანი საბჭოელი და ასეც იყო, ცოტა გვიან საბჭოთა ნაკრებმა ამერიკის კი არა, მთელი მსოფლიოს ნაკრებს მოუგო.

ტალსა და ფიშერს საერთო მხოლოდ ებრაული ძირი ჰქონდათ, თორემ სხვა მხრივ, არაფრით ჰგავდნენ ერთმანეთს. ბობიმ როგორც კი ჭადრაკი ისწავლა (6 წლის იყო), ყველა და ყველაფერი დაივიწყა. ტურნირებისას ის არ დადიოდა სცენაზე და ქომაგებს თვალს არ უკრავდა, არასოდეს მიმჯდარა როიალთან, არ უწერია წერილები (ტალი ერთ დროს სულაც ჟურნალის რედაქტორი იყო), საერთოდ, უმაღლესი განათლება დღესაც არა აქვს. რაც შეეხება ხასიათს, გამუდმებით ჭინჭყლობდა და უპასუხისმგებლო ქმედებებით გამოირჩეოდა, ამერიკის დროშაზეც მოუფურთხებია.

პრეტენდენტთა ტურნირი სენსაციით დაიწყო: პირველივე ტურში ფიშერმა კერესი დაამარცხა, უცილობელი ფავორიტი, რომელთანაც, წინასწარ გეტყვით, ტალმა სამჯერ წააგო და მხოლოდ ერთხელ მოუგო (ოთხი წრე თამაშდებოდა). ფიშერის სენსაცია მაინც ეპიზოდური გამოდგა, ყმაწვილმა შემდეგ ზომიერად გააგრძელა და წინ ტალი და კერესი გაიჭრნენ. გაირკვა, რომ სმისლოვი ფორმაში ვერ არის, პეტროსიანის ფრთხილი პოლიტიკა მსგავს ტურნირში უადგილოა, გლიგორიჩი კი, უბრალოდ, ცოტას იგებს. მეორე წრის ბოლოს თითქმის ცხადი გახდა, რომ პრეტენდენტის საგზური რომელიმე ბალტიისპირელს უნდა დარჩენოდა, მაგრამ რომელს? 43 წლის კერესს, ვისთვისაც ეს იქნებ ბოლო შანსი იყო, თუ 20 წლით უმცროს ტალს, რომელიც ორი წელი უაღრესად სწორხაზოვნად მიიკვლევდა გზას ბოტვინიკისკენ? გადავდოთ კითხვაზე პასუხი წერილის ბოლოსკენ და ვთქვათ, რომ ტალმა ფიშერს საწყის ორივე წრეში მოუგო. მწვრთნელები რიგელს მთელი გულით ურჩევდნენ, შავებით კარო-კანის დაცვა ეთამაშა, მოსაწყენი დებიუტი, რომელიც ამერიკელს გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ განა ტალი კარო-კანის ჩიტი იყო? როგორც მეტყვით, ისე გავაკეთებო, დაჰპირდა მწვრთნელს, მაგრამ დაფას მიუჯდა თუ არა, C პაიკი ერთის ნაცვლად ორ უჯრაზე გადაჩოჩა: სიცილიური დაცვა, ფიშერის საყვარელი დებიუტი, დიდი ომ-ჩხუბი და მაინც ტალის გამარჯვება — 2:0 ტურნირის შუაწელში და გზა ზაგრებისკენ, სადაც მესამე წრე იყო დაგეგმილი.

ამ დროისთვის ტალსა და ფიშერს შორის საკმაოდ ცუდი ურთიერთობა დამყარდა, რასაც ვიქტორ ვასილიევი აღწერს ცნობილ საბჭოურ ბესტსელერში „მეშვიდე რიდე“. სიტყვა „საბჭოური“ თავისთავად გამოხატავს ირონიას ამერიკელისადმი და აღფრთოვანებას თავისიანით, მაგრამ წიგნი მაინც კარგია.

აი, ნაწყვეტი:

„გზაში ტალის საყვარელი გასართობი იყო „ამერიკული საოცრების“ — ბობი ფიშერის აბუჩად აგდება. ტემპერამენტიან და სიცოცხლისმოყვარე ტალს ძალიან უყვარს ჭადრაკი, მაგრამ ამავე დროს ძალიან აინტერესებს ლიტერატურა, მუსიკა, კინო და ბევრი სხვა რამ. ამიტომ მას აღიზიანებდა ჩუმი, პირქუში, თუმც ძალიან ნიჭიერი ყმაწვილი, რომელსაც ჭადრაკის მეტი არაფერი ახსოვდა.

— ერთი მითხარი, ბობ — ეკითხება ტალი — რომელია რუმინეთის დედაქალაქი?

— რუმინეთის? — გულწრფელად უკვირდა ფიშერს — სად არის რუმინეთი? შორსაა ინგლისიდან?

— ჰაე — სარკაზმულად იღიმებოდა ტალი — ამერიკელი მწერლებიდან ვინ უფრო გიყვარს?

— მწერლებიდან? აი, უოლესი და... სხვა მრავალი.

ტალი ხარხარებდა, იცინოდნენ ამ სცენის მომსწრენიც. ფიშერი კი, კმაყოფილი იმით, რომ თავიდან მოიშორა ეს მავნე სული, ისევ თავის მელანქოლიაში იძირებოდა“.

მაგრამ სწორედ იმ ფიშერმა, რომელმაც რუმინეთის დედაქალაქი არ იცოდა, ტალი, ფაქტობრივად, ლიდერი გახადა. მესამე წრეში პატარა ამერიკელი ერთხელაც შეხვდა კერესს და ერთხელაც წაართვა ქულა. ტალი სმისლოვს ზავით დაშორდა (უიშვიათესი ამბავი!) და ქულებით კერესს გაუთანაბრდა, შემდეგ კი ფიშერს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ მესამედაც მოუგო. ბობი გაცოფებული გახლდათ და კბილების კრაჭუნით ელოდა ბოლო წრეს, მაგრამ იქამდე მთელი ამბები მოხდა.

მესამე წრეში ტალმა უაღრესად აიწყვიტა, პარტიას პარტიაზე იგებდა და დაზაფრული პალ ბენკო მასთან სათამაშოდ შავი სათვალით მივიდა: ეგ კაცი ჰიპნოზს მიკეთებსო. პასუხად ტალმა ჯიბიდან პეტროსიანის უშველებელი სათვალე ამოიღო და თვითონაც გაიკეთა, მერე კი, რომ ნახა, ხალხმა სიცილით გული იჯერაო, მოიხსნა. ბენკო კი ბოლომდე თვალებდაბურული იჯდა, მაგრამ რაღა ბოლომდე, 20 სვლის შემდეგ მის თამაშს აზრი დაეკარგა.

მეოთხე წრე ბელგრადში შედგა. როცა ტალმა სმისლოვს მოუგო, კერესს უკვე 2,5 ქულით უსწრებდა და ვერავინ ახსნის, რატომ ითამაშა მასთან მოგებაზე. ასე იყო თუ ისე, ტალმა წააგო და ტურნირის ინტრიგამ იმატა. შემდეგი ფიშერი იყო, ტალზე დაბოღმილი და კბილებალესილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ. პარტიის წინ ტალთან პეტროსიანი მივიდა და თითქმის ეხვეწა, კარო-კანის დაცვა ითამაშე, ბოლოსწინა ტურია და ყაიმი ყელამდე გყოფნისო, მაგრამ... შეაყარე კედელს ცერცვი! ისევ სიცილიური დაცვა, ოღონდ ამჯერად ფიშერის დომინირებით. ამერიკელმა გვარიანად მიუნგრია შავებს პოზიცია და დიდი უპირატესობა მიიღო. ახლა მას ეტლით სწორი სვლა უნდა ეპოვა და მოგებაც შორს არ იყო. კვლავ ნაწყვეტი წიგნიდან „მეშვიდე რიდე“:

„ამ დრამატულ მომენტში ტალი სცენაზე დასეირნობდა. გარეგნულად მშვიდი, რა თქმა უნდა, ღელავდა — საკმარისი იყო, ფიშერს სწორი გადაწყვეტილება მოეძებნა და მდგომარეობა თითქმის გამოუვალი ხდებოდა.

უცებ ტალმა შენიშნა, რომ ფიშერმა სვლა ჩაიწერა და რაღაც გაუგებარი სიჯიუტით აჩეჩებს მას ბლანკს. იგი აშკარად ცდილობდა, ტალს ჩანაწერისთვის დაეხედა: რას უნდა ნიშნავდეს ეს? ტალმა ბლანკს დახედა და დაინახა სწორედ ის სვლა, რომლისაც ეშინოდა.

და იმწამსვე მიხვდა, რომ ფიშერი სცდიდა მას, უნდოდა, ტალის რეაქციით შეემოწმებინა, სწორი იყო თუ არა სვლა, რომლის გაკეთებასაც აპირებდა.

რა ქნას, მოიღუშოს? ეს ხომ უფრო დაარწმუნებს ფიშერს ჩანაფიქრის სისწორეში? გაიღიმოს? იქნებ ამერიკელი მიუხვდეს მანევრს? არა, სულ სხვაგვარად უნდა მოიქცეს. როცა ფიშერი პირდაპირ შეაცქერდა თვალებში, ტალმა გაქვავებული სახით, თითქოს არაფერი მომხდარაო, ბოლთის ცემა განაგრძო. შემცბარი ფიშერი... მახეში გაება.

მხოლოდ მაშინ, როცა ფიშერმა, ბოლოს და ბოლოს, სვლა გააკეთა, ტალმა გაიღიმა და უნდა ითქვას, ღიმილი გულწრფელი იყო — ფიშერმა იფიქრა, ჩემი გეგმა მცდარიაო და სხვა ფიგურით ითამაშა. ბიჭუნამ სხვა სათამაშო აირჩია“.

ტალმა მოიგო ის პარტიაც და პრეტენდენტი გახდა. ეს იყო ერთადერთი 0:4 ფიშერის ცხოვრებაში. შემდეგ ისინი თავ-თავიანთ გზაზე წავიდნენ. ტალს რამდენიმე თვეში ტრიუმფი, ტიტულის საჩქაროდ დაკარგვა და ძველებურად მხიარული ცხოვრება ელოდა, რომელშიც ჭადრაკი მხოლოდ ნაწილი გახლდათ, ფიშერს კი — ჩემპიონობისკენ სვლის 12 წელიწადი. მან შეირგო ტალის აღიყურები, გაკვეთილებივით დაიზეპირა ისინი და ჩვენგან ვრცლად აღწერილი პარტია ბოლო იყო: მას შემდეგ ფიშერს ტალთან არ წაუგია.

**დავით გულუა**



მიხეილ ტალი — ქაოსის გენიოსი







ბობი ფიშერი ვუნდერკინდი (1959), მსოფლიოს ჩემპიონი (1972) და განდევნილობიდან დაბრუნებული (1992)

# ახალგაზრდები ტრაპიდან დარბაზში

## უკვე მერამდენედ: ნიჭი თუ გვიშველის

***11 ივლისს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი იწყება. შეჯიბრებას, რომელშიც საქართველოს ნაკრები საბერძნეთის, იუგოსლავიის, ინგლისის, გერმანიისა და პორტუგალიის გუნდებთან ერთად გამოვა, საბერძნეთი უმასპინძლებს. ჩვენმა მეტოქეებმა ამ ტურნირისთვის მზადება კარგა ხანია, დაიწყეს და საერთაშორისო საკონტროლო მატჩებიც გამართეს. ჩვენი ნაკრები კი ორიოდ კვირაა, რაც შეიკრიბა და ვერის ბაღს არ გასცილებია. ის კი არა, ამ ტურნირში მონაწილეობაც საეჭვო გახდა. მიუხედავად სიძნელეებისა, ჩვენი ნაკრების მწვრთნელები იხტიბარს არ იტეხენ და მომავალ თამაშებს ოპტიმიზმით უყურებენ. ნაკრებს დღეში ორჯერ, დილა-საღამოს იბარებენ ვერის ბაღის დარბაზში და ბევრ ოფლსაც აღვრევინებენ. ერთ-ერთი ასეთი ვარჯიშის შემდეგ ახალგაზრდათა მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს ნაკრებზე და მომავალ თამაშებზე გავესაუბრეთ.***



გაფარ ქათამაძის ფოტო

ზურაბ ტომარაძე

**— საბერძნეთში როდის მიემგზავრებით?**

— 10 ივლისს ათენის რეისით მივდივართ და ადგილზე გერმანელებთან პირველ შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე ვიქნებით.

**— გამოდის, სრულყოფილი ვარჯიშისთვის დრო არ დაგრჩებათ...**

— სამწუხაროდ, ასეა. რეისი ათენის მიმართულებით კვირაში მხოლოდ ერთხელ არის და სხვა რა გზა გვაქვს.

**— გუნდის მომზადების დონით კმაყოფილი ხართ?**

— არ შეიძლება, კმაყოფილი ვიყო, რადგან ჯერ არ ვიცი, როგორი დონის გუნდთან მაქვს საქმე. მე ამ ნაკრებში მწვრთნელის რანგში არც ერთი ამხანაგური მატჩი, ოფიციალურზე ლაპარაკი არა მაქვს, არ ჩამიტარებია და შესაბამისად ძნელია, რამეზე საუბარი. ამ გუნდთან პირველად მიწევს მუშაობა და იმ ოციოდ დღეში, რაც მათთან ვარ, რთულია, რაიმე დონის განსაზღვრა.

**— ახალგაზრდათაგან სამნი ხომ ეროვნული ნაკრების წევრებიც არიან?**

— მართალია, ცქიტიშვილთან, ფაჩულიასთან და უგრეხელიძესთან ურთიერთობა მქონია ეროვნულ გუნდში და მათი შესაძლებლობებიც კარგად ვიცი, მაგრამ მარტო სამი მოთამაშე არ კმარა. მათ გარდა კიდევ ცხრა კალათბურთელია, ამიტომ ძნელია მთლიანი გუნდის სახეზე საუბარი.

**— ძირითადად რომელ ხუთეულზე გააკეთებთ აქცენტს?**

— ჩემი აზრით, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ხუთეულით დავიწყებთ თამაშს, რადგან მოწინააღმდეგე გუნდებზე თითქმის არაფერი ვიცით. ძირითადი ხუთეული გზადაგზა, მატჩებს შორის გამოიკვეთება.

**— რაიმე თუ იცით მეტოქეთა შესახებ?**

— მოწინააღმდეგე გუნდებზე პრაქტიკულად არაფერი ვიცით, თუ არ ჩავთვლით, რომ ჩვენს ამ ნაკრებს იუგოსლავიასა და გერმანიასთან უთამაშია, როცა ისინი კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე გამოდიოდნენ. მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მათგან ზოგი ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობს, ზოგიც ახალი გამოჩნდებოდა, ზოგნიც საერთოდ თავს დაანებებდნენ თამაშს და ეს გუნდები, ჩემი აზრით, საბერძნეთში სრულიად სახეცვლილნი ჩამოვლენ. ვიცით, რომ ძალიან ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს პაექრობა. განსაკუთრებით იუგოსლავიელებსა და ბერძნებს გამოვარჩევდი. ამ ქვეყნებში კალათბურთს, არც ერთ სპორტზე ნაკლები ყურადღება არ ექცევა და ყოველ წელს ისინი ორ მილიონზე მეტს ხარჯავენ მხოლოდ კადეტთა და ახალგაზრდული ნაკრებების მოსამზადებლად. იუგოსლავიელებმა მზადება დიდი ხანია დაიწყეს და თურქებსა და რუსებს უკვე შეხვდნენ, ჩვენ კი საერთაშორისო საკონტროლო მატჩებს ვინ ჩივის, ერთი საწვრთნელი შეკრება გვქონდა კოჯორში დაგეგმილი და იმისთვისაც ვერ გამოინახა საჭირო თანხა. მესმის, რომ სპორტს ძალიან უჭირს, მაგრამ მეტი ყურადღებაა საჭირო, რადგან ყველამ დაინახა, რომ კალათბურთს ჩვენში მომავალი ნამდვილად აქვს და თუ მხარდაჭერა გვექნა, სერიოზულ მიზნებზეც შეიძლება ფიქრი.

**— თამაშის ტაქტიკა და სქემა იგივე იქნება, როგორითაც პირველმა ნაკრებმა ითამაშა ბოლო მატჩები...**

— ძალიან ძნელია ამ მხრივ რაიმეს თქმა. რა თქმა უნდა, ვეცდებით, პირველი ნაკრების მიერ აღებული გეზით ვიაროთ, მაგრამ თვითონ მისი საბოლოო სახე ჯერაც არ ჩამოყალიბებულა და იქაც ბევრია სამუშაო. ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, ის იქნება, რომ თითოეული კალათბურთელი თავის მაქსიმუმს გაიღებს წარმატების მისაღწევად. ამასთან, პარასკევს ჩვენი გუნდი, ეროვნული ნაკრები, კადეტები და „მაკაბი" ვერის ბაღში ერთმანეთში მატჩები გამართავენ და გამარჯვებულს გამოავლენენ. მართალია, ეს თამაშები ჩვენს ნაკრებს ბევრს ვერაფერს შესძენს, მაგრამ დამუშავებული კომბინაციების დახვეწასა და გარკვეულწილად ტაქტიკის შერჩევაში კარგ დახმარებას გაგვიწევს.

**— გუნდში საკმაოდ მაღალი მოთამაშეები გყავთ...**

— მართალია, საკმაოდ მაღალი გუნდი გვყავს, მაგრამ ამის იმედად ყოფნა და ამაზე აქცენტის გაკეთება არას გვარგებს. იქ არაერთი ტანმაღალი მოთამაშე იქნება. მაგალითად, გერმანელებს შვიდი კალათბურთელი ჰყავთ ამერიკის სხვადასხვა კოლეჯში და ზოგი მათგანი 212 სანტიმეტრი და მეტია.

**— როგორ ფიქრობთ, მოვახერხებთ ფინალურ ეტაპზე გასვლას?**

— ძალიან ძნელია ამის გადაჭრით თქმა, რადგან კიდევ ვიმეორებ, უძლიერეს გუნდებთან მოგვიწევს ჭიდილი, მაგრამ ჩვენი ბიჭების და მათი ნიჭის იმედი მაქვს. ვეცდები, თითოეულს ყველანაირად შევუწყო ხელი, რათა თავიანთი დადებითი თვისებები მაქსიმალურად გამოავლინონ და ამის საფუძველზე წარმატებას მივაღწიოთ.

**ირაკლი ბერტაია**

### საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

| | | |
|---|---|---|
| ბუბა ბერიშვილი | უკანა ხაზი | სტუ-ჯეოსელი |
| ბაჩანა სულაძე | უკანა ხაზი | სტუ-ჯეოსელი |
| კოტე ტულუში | უკანა ხაზი | სლოვანი (სლოვენია) |
| შიო ხეცურიანი | ფორვარდი | თსუ |
| გიორგი მარკოიშვილი | ფორვარდი | თსუ |
| ირაკლი კეიდია | ფორვარდი | სტუ-ჯეოსელი |
| ზვიად ბაბიაშვილი | ფორვარდი | აზოტი |
| ირაკლი შანიძე | ფორვარდი | მაკაბი |
| ლაშა ლოსაბერიძე | ფორვარდი | სტუ-ჯეოსელი |
| ნიკა ცქიტიშვილი | ფორვარდი | სლოვანი (სლოვანია) |
| დავით უგრეხელიძე | ცენტრი | სლოვანი (სლოვენია) |
| ზაზა ფაჩულია | ცენტრი | ულქერი (თურქეთი) |

მთავარი მწვრთნელი: ზურაბ ტომარაძე, მწვრთნელი: დავით რიბაშვილი

### საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თამაშთა განრიგი

| | |
|---|---|
| 11 ივლისი | საქართველო — გერმანია |
| 12 ივლისი | საქართველო — საბერძნეთი |
| 13 ივლისი | საქართველო — ინგლისი |
| 14 ივლისი | საქართველო — იუგოსლავია |
| 15 ივლისი | საქართველო — პორტუგალია |

*ფინალურ ეტაპზე გადის ორი გუნდი*



ტაი-ბრეიკი

# ბორისი სულს ვერ ითქვამს

**ბორის ბეკერის** უსიამოვნებებს დასასრული არ უჩანს. მიუნხენის საგადასახადო ინსპექცია უიმბლდონის სამგზის ჩემპიონს თავის დროზე გადაუხდელ 25 მილიონ მარკას (10,8 მილიონი დოლარი) სთხოვს.

1990 წლიდან 1993 წლის ჩათვლით ბეკერი თავის ოფიციალურ საცხოვრებელ ადგილად მონაკოს მოიხსენიებდა, რაც კორტზე თუ მის გარეთ მოპოვებული მწვანეების მთლიანად შენარჩუნების საშუალებას იძლეოდა. პრობლემა ის არის, რომ ინსპექტორებს ჩოგბურთელის არ სჯერათ. ისინი თვლიან, რომ ბორისი მაშინ წლის ნახევარზე მეტს მაინც გერმანიაში ატარებდა და შესაბამისად იქაურ გადასახადებს ვერ უნდა გაქცეოდა.

ჯერ კიდევ 1997-ში საგადასახადო სამსახური მსოფლიოს პირველი ჩოგნის წინააღმდეგ ოფიციალური საქმის აღძვრას ითხოვდა, მაგრამ გერმანიის ეროვნულ გმირს პროკურატურა გამოესარჩლა. 1998-ში ინსპექტორებმა ბეკერის სახლი მაინც გაჩხრიკეს და მას შემდეგ განუწყვეტლივ მუშაობენ ჩოგბურთელის გამოსაჭერად.

რამდენიმე დღის წინ ჟურნალ „დერ შპიგელში" გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ გამომძიებლები სულ მალე დაასრულებენ ბეკერის ფინანსების სრულ შემოწმებას და პროკურატურას მოხსენებას წარუდგენენ. ბავარიის ადმინისტრაციაში დაუსახელებელ წყაროზე დაყრდნობით, ბორისს 25 მილიონი მარკის გადამალვაში დასდებენ ბრალს და თუ ამას პროცენტებს და იურიდიულ ხარჯებს დავუმატებთ, ჩოგბურთელს ვინძლო 40 მილიონის ანაზღაურებაც მოსთხოვონ. ჯერჯერობით მთავარი პროკურორი მანფრედ ვიკი თავს იკავებს კომენტარისგან და მოხსენებაში რაიმე ახალ ინფორმაციის აღმოჩენას ელის, საქმის აღძვრის შესახებაც მხოლოდ მერე მიიღებს გადაწყვეტილებას.

ბეკერის ადვოკატის, იან ოლაფ ლაისნერის თქმით, მის კლიენტს არ სურს ამხელა თანხის გადახდა, მაგრამ იმედი აქვს, ოფიციოზთან გარკვეულ კომპრომისს მიაღწევს. შარშან თურმე ჩოგბურთელის წარმომადგენლებმა ინსპექტორებს 14 მილიონი მარკის გადახდაც შესთავაზეს. საქმე იმიტომ ჩაიშალა, სანაცვლოდ ბორისს გარანტიას არ აძლევდნენ, რომ მომავალში მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრებოდა.

„დაუშვებელია, ციხეში მოხვედრის საფრთხე მას მერეც არსებობდეს, რაც ბეკერი გადასახადებს აანაზღაურებს, ის 1994 წლიდან მოყოლებული მიუნხენში ცხოვრობს, მაგრამ მანამდე მუდმივად მოგზაურობდა" — მიაჩნია ლაისნერს. არადა, გერმანელი ინსპექტორები სპორტის ვარსკვლავებს დიდად რომ არ ერიდებიან, ფაქტია: შტეფი გრაფის მამამ პეტერმა იგივე ბრალდების გამო თითქმის ორი წელი გაატარა ვირის აბანოში.

რაც შეეხება ბეკერს, ბოლო რამდენიმე თვეში სასამართლოს დარბაზებს და მილიონების კარგვას ის საოცრად გაუშინაურდა. დეკემბერში მეუღლე ბარბარასთან შვიდწლიანი თანაცხოვრების შემდეგ სკანდალური განქორწინება გვარიანი ალიმენტების გაღებად დაუჯდა ჩოგბურთელს, ისევე, როგორც თებერვალში რუს მოდელთან ხანმოკლე რომანის შედეგად შეძენილი ქალიშვილის, ანას მამობის აღიარება.



ბორის ბეკერის ადვოკატებს საქმე არ ელევათ

# ჩემპიონის ცრემლები

**ამომავალი** რუსი ვარსკვლავის, ლინა კრასნარუცკაიასთვის საჩოგბურთო მწვერვალებისკენ გზა ცრემლნარევი გამოდგა, თუმცა ამჟამად ის აღარაფერზე ნაღვლობს და ბრაზდება.

„დედაჩემი და მამაჩემი პატარაობიდანვე მაიძულებდნენ, ქანცის გაწყვეტამდე მევარჯიშა და კორტზე ბოლომდე დავხარჯულიყავი. მაშინ, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვხვდებოდი, ამდენი შრომა ჭირივით მძულდა, ხშირად ვტიროდი და ვყვიროდი, მეტი არ შემიძლია-მეთქი, ისინი კი მეუბნებოდნენ, შეგიძლია, ძალიან ზარმაცი ხარო. ახლა უკვე მოხარული ვარ, რომ ისინი ასე მკაცრად მექცეოდნენ, სხვა შემთხვევაში არც კი მეცოდინებოდა, რისი მიღწევა შემეძლო" — ამბობს 17 წლის ჩოგბურთელი, რომელსაც ძლიერი სქესის წარმომადგენლებში უკვე ბლომად ქომაგი მოეძებნება.

კრასნარუცკაიას დედა თავად საჩოგბურთო მწვრთნელი იყო, მამა, ვლადიმირი კი, ქირურგის პროფესიას ქალიშვილის კარიერის გამო შეელია, რადგან, ლინას თქმით, ეს უფრო სარფიანი იყო. რუსმა ვარჯიში სამი წლისამ დაიწყო, ექვსიდან უკვე ტურნირებს იგებდა, როლან გაროსზე მეოთხედფინალში გავიდა, უიმბლდონზე — მერვედფინალში, მისი მშობლები კი ობნინსკში ახალ სახლს იშენებენ. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ძნელი დასადგენი არ უნდა იყოს.

# მოწოდება გზად და ხიდად

**გორან ივანიშევიჩი** კლასიფიკაციით მხოლოდ 125-ეა და ტურნირი უკვე სამი წელია, არ მოუგია, მაგრამ როდესაც მოწოდებებზე მიდგება საქმე, მისი მჯობნი დღესაც არავინაა. უიმბლდონზე ჩატარებულ პირველ ხუთ მატჩში ცაცია ხორვატს 150 ეისი დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე მყოფ პიტ სამპრასს 56-ით უსწრებს.

1990-ში, ეისების აღრიცხვის შემოღებიდან მოყოლებული, გორანი ერთადერთია, ვინც ერთ მატჩში 40-ზე მეტი ეისის მოწოდება ოთხჯერ შეძლო, ბოლოს ენდი როდიკთან მესამე წრეში (41), თუმცა მსოფლიოს რეკორდი — 49 მას კი არა, რიჩარდ კრაიჩეკს ეკუთვნის.

დიაცთა შორის ამ მაჩვენებლით სერენა უილიამსი ლიდერობს. უმცროს უილიამსს მეოთხედფინალის ჩათვლით 47 ეისი აქვს ანგარიშზე და უახლოეს მდევარს — უფროს დაიკო ვინუსს ბარე ოცით უსწრებს.

**ავთანდილ სვანიძე**

# მშვიდობით, სლემო!

## ჰენმანია



ტიმ ჰენმანი

უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე ადგილების შეუზღუდავი რაოდენობა რომ არსებობდეს, ერთი ჩოგბურთელის მატჩებზე დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის ნახევარი მოკალათდებოდა. ნისლიან ალბიონზე 1936 წლიდან მოყოლებული ელიან მასპინძლის გაჩემპიონებას და ბოლო ხანებში მთელი ერის იმედები ერთ მოთამაშეს — ტიმოთი ჰენრი ჰენმანს აწევს მხრებზე. ყოველ ზაფხულს ქვეყანას ორკვირიანი „ჰენმანია" გადაუვლის-ხოლმე, თუმცა ჯერჯერობით მსოფლიოს მეთორმეტე ჩოგანს ეროვნული გმირის სტატუსამდე სულ ორი მოგება აკლდება.

1998 და 1999 წლებში ჰენმანი „ოლ ინგლენდ კლაბში" ნახევარფინალისტი გახლდათ, მაგრამ ორივეჯერ დიად და უმძლავრეს პიტ სამპრასთან დამარცხდა. ახლა, როდესაც უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი მის გზაზე აღარ დგას, ინგლისელმაც და მისმა მრავალმილიონიანმა ქომაგთა არმიამაც შვებით ამოისუნთქა და ესოდენ სანატრელი ტიტული მიუწვდომელი სულაც აღარ ჩანს.

მეოთხედფინალში ტურნირზე მეექვსედ განთესილი ჰენმანის მეტოქე სწორედ „პისტოლ პიტის" დამმარცხებელი როჯერ ფედერერი იყო და შეხვედრა ჯერჯერობით საუკეთესოც გამოდგა წლევანდელ უიმბლდონზე, თუმცა ინგლისელმა თავისიანები თმის გაჭაღარავებამდე ანერვიულა: „ვიღაცამ გასახდელში მითხრა, შენი მატჩების დროს ხალხი უნდა გააფრთხილონ, ცქერა ჯანმრთელობისთვის საშიშიაო. თავად მე დოლივით დაჭიმული ვიყავი, მაგრამ არა მგონია, მაყურებლებს ადგათ უკეთესი დღე."

თუ უკანა ხაზიდან და შემოვლებულებზე ფედერერი აშკარად უკეთ ირჯებოდა, ჰენმანმა ბადესთან თამაშში ისეთი ოსტატობა გამოიჩინა, ცენტრალური კორტის თითქმის საუკუნოვან ისტორიაში იშვიათად თუ უნახავთ. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ბურთი ფეხებთან ძალიან უხერხულად მიუბრუნდებოდა თუ პირდაპირ ტანზე მთელი ძალით, ინგლისელი ყველაფრის დამუშავებას და ბადის მეორე მხარეს სწორედ ამ ადგილზე დასმას ახერხებდა, სადაც საჭირო და მისთვის სასურველი იყო.

ჰენმანმა იმ კრიტიკოსებსაც ჩააგდებინა ხმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, გადამწყვეტ მომენტებში კაპიკია მაგის ფასიო. 26 წლის ბრიტმა 7:5, 7:6 (8:6), 2:6, 7:6 (8:6) დასრულებული მატჩის ორივე ტაი-ბრეიკზე რკინის ნერვები და მარჯვენის სიმტკიცე გამოიჩინა და ერთგან 3:6, მეორეგან კი 2:5 ჩამორჩენა აანაზღაურა.

„ნახევარფინალში პირველად არ გავდივარ, ასე რომ, მთლად გამოუცდელიც არ მერქმის. მთავარია, კიდევ უფრო წინ წავიწიო. მჯერა, ეს შემიძლია და, ხეს სამჯერ დავუკაკუნოთ, იმედია, მოვახერხებ კიდეც. ჩვეულებრივ, ძალიან თავშეკავებული ადამიანი ვარ, მაგრამ დღეს კორტზე საოცრად ემოციური ვიყავი. როდესაც ამხელა მხარდაჭერას გრძნობ ტრიბუნიდან, სხვანაირად არც შეიძლება" — აღნიშნა ინგლისელმა.

რაც შეეხება ფედერერს, ბევრის აზრით, ახალი თაობის ყველაზე ნიჭიერ წარმომადგენელს მომავალში უიმბლდონის ტიტულის ერთხელ კი არა, ბევრჯერ მოპოვება არ ასცდება. „კარგია, როდესაც ჯონ მაკინროი და პატ კეში გაქებენ, მაგრამ კომპლიმენტებს გამართლება უნდა. ძალიან იმედგაცრუებული ვარ, ერთი-ორი ქულა დამაკლდა, თორემ მოგების შესანიშნავი შანსი მქონდა. სამწუხაროდ, საზარდულის ტრავმამ შემახსენა თავი და წინა მატჩივით სწრაფად ველარ ვმოძრაობდი" — თავი იმართლა ფედერერმა.

ნახევარფინალის საგზური ანდრე აგასიმ უიმბლდონის პირველ კორტზე ჰენმანზე რამდენიმე წუთით ადრე მოიპოვა. დამაშინებელი გარეგნობის ნიკოლა ესკუდესთან შეხვედრაში ხოტორა ლასვეგასელი ნამდვილად ვერ ბრწყინავდა, მაგრამ ძვალტყავა ფრანგსაც თავის მხრივ ბარძაყის ტრავმა უშლიდა ხელს. მეორე სეტის დასაწყისში კორტზე ექიმის ხმობის შემდეგ ესკუდე სულ უფრო უარესად ათამაშდა და ამერიკელმაც ზედიზედ მესამედ შეაბიჯა უიმბლდონის საუკეთესოთა ოთხეულში 6:7 (3:7), 6:3, 6:4, 6:2.

დღეს ვაჟთა ნახევარფინალებში ერთმანეთს ხვდებიან ჰენმანი — ივანიშევიჩი და აგასი — რაფტერი. საბუკმეიკერო „უილიამ ჰილის" შეფასებით, ტიტულზე შანსები შემდეგად ფასობს: აგასი (11:8), რაფტერი (11:4), ჰენმანი (10:3), ივანიშევიჩი (4:1). აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰენმანის გაჩემპიონების შემთხვევაში, რომელზეც ტურნირის დასაწყისში ფსონები 14:1-თან იყო, ბუკმეიკერები ბარე მილიონ დოლარს დაკარგავენ.

## ენენის ჯადოსნური დღე

შეიძლება სხვა ქალ მოთამაშეებს უფრო დაბერილი კუნთები, ფართო მხარ-ბეჭი და ჯანიანი დარტყმებიც ჰქონდეთ, მაგრამ როდესაც სუფთა საჩოგბურთო ნიჭსა და სისხარტეზე მიდგება საქმე, ჟიუსტინ ენენს მხოლოდ მარტინა ჰინგისი თუ გაუწევს კონკურენციას.

„მე მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობ და ყოველთვის პოზიტიურად ვარ განწყობილი. როდესაც ჯანიან მეტოქეებს ვხვდები, მათი ზომა-წონა სულაც არ მაშინებს. დანაკლისს სისწრაფით ვანაზღაურებ, თანაც როდესაც მსურს, მეც არანაკლები ძალა აღმომაჩნდება" — ენენის ამ სიტყვების სიმართლეში გუშინ წლეულს ორი დიდი სლემის ტურნირი მომგები ჯენიფერ კაპრიატიც დარწმუნდა.

კაპრიატიმ დიაცთა პირველი ნახევარფინალი მეტოქეზე გაცილებით უკეთ დაიწყო, განერვიულებული ბელგიელის ხშირი შეცდომებით შესანიშნავად ისარგებლა და პირველი ხელი სულ რაღაც 21 წუთში მიითვალა. როდესაც მტკივანი კოჭის საწამლოდ მეორე სეტის დასაწყისში ენენმა სამედიცინო დახმარება ითხოვა, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, კაპრიატის ფინალის საგზური სანახევროდ ჯიბეში ედო.

პირიქით კი მოხდა. მოულოდნელად ბელგიელი ფანტასტიკურად ათამაშდა და ტრიბუნაზე მოკალათებულ მაყურებლებზე არანაკლებ ამერიკელი მონუსხა. ენენმა თავისი ფართო არსენალიდან ყველა იარაღი ერთად ჩართო ბრძოლაში და უმწეო მეტოქეს ბასრი მოჭრილებით, უზუსტესი აბრაგნებით, საფირმო ცალხელა ბექჰენდითა და ბადესთან დროული გასვლებით შანსი არ დაუტოვა.

„შეიძლება ცოტათი მეც გამეფანტა ყურადღება და ამით ხელი შევუწყვე, მაგრამ სულ რამდენიმე წუთში ის სრულიად გარდაისახა, თითქოს გამოცვალესო, შეცდომებს საერთოდ აღარ უშვებდა, ყველაფერი გამოსდიოდა" — აღნიშნა მერე კაპრიატიმ.

ენენმა ჯერ საერთო ანგარიში გაათანაბრა, გადამწყვეტ ხელში კი 4:0 დაწინაურდა. აქ ამერიკელს ბედმა მცირე შანსი უბოძა — გაწვიმდა და თამაში ნახევარი საათით შეწყდა, თუმცა ბელგიელს სამიზნე იძულებითი შესვენების შემდეგაც არ გამრუდებია, როლან გაროსის ნახევარფინალისგან განსხვავებით, ნერვები მოთოკა და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა 2:6, 6:4, 6:2.

„დაუჯერებელია, დღეს ჯადოსნური დღე იყო ჩემთვის, ვერც კი წარმომიდგენია ხეირიანად, რა შევძელი — გაიხარა ენენმა, რომელმაც პარიზში ამავე ეტაპზე თანამემამულე კიმ კლაისტერსთან თითქმის მოგებული მატჩის წაგება მოახერხა — მას შემდეგ ფსიქოლოგიურად შესამჩნევად მოვძლიერდი, გადავწყვიტე, რომ გამარჯვების შიში ახლოს აღარ გამეკარებინა და შანსები ხელიდან აღარასოდეს გამეშვა. ვამაყობ საკუთარი თავით."

რაც შეეხება კაპრიატის, რომელსაც ბელგიელმა დიდი სლემის მოპოვების ისტორიული შესაძლებლობა წაართვა, მას იმედგაცრუება არ დაუმჩნევია: „ცხოვრებაში ჩოგბურთის მატჩის წაგებაზე გაცილებით უარესი რამ შეიძლება შეგემთხვას (ეს ამერიკელს, ალბათ, ყველა ჩვენგანზე უკეთ მოეხსენება). რა თქმა უნდა, ოთხივე „მეიჯორის" მოგება კარგი იქნებოდა, მაგრამ წელვანდელი მიღწევებით მაინც უსაშველოდ კმაყოფილი გახლავართ. ამჟამად კარიერის საუკეთესო ფორმაში ვარ. სასაცილოა, ვუნდერკინდად მომნათლეს, მაგრამ სინამდვილეში ასე გვიან მივაღწიე პიკს."



ჯენიფერ კაპრიატიმ დიდი სლემი გამოიტირა

ფინალში ენენის მეტოქე კიდევ ერთი ჯანიანი ამერიკელი ვინუს უილიამსი იქნება, რომელმაც გუშინ თანამემამულე ლინდსი დევენპორტი დაჯაბნა 6:2, 6:7 (3:7), 6:1.

**ავთანდილ სვანიძე**

### ნახევარფინალი

**ქალები**

**ჟიუსტინ ენენი (8, ბელგია) — ჯენიფერ კაპრიატი (4, აშშ) 2:6, 6:4, 6:2; ვინუს უილიამსი (2, აშშ) — ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) 6:2, 6:7 (1:7), 6:1**



ვინუს უილიამსთან წაგების მერე ლინდსი დევენპორტი... ხელმარჯვედ სცემდა ჩოგანსა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

# კროკო

**1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც იმუშავებს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება. სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა**

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

ქობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**შვეიცარია. A ჯგუფი. 1-ლი ტური**
**7 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 003 | გრასჰოპერი-აარაუ | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 22.30 | 004 | ლუცერნი-ქსამაქსი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.30 | 005 | სერვეტი-ციურიხი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.15 | 006 | იანგ ბოისი-ლუგანო | 2,5 | 3,1 | 2,4 |

**შვედეთი. მე-13 ტური**
**7 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 009 | იორებრო-სუნდსვალი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**8 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 010 | ნორჩიოპინგი-იურგორდენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 011 | იორგრიტე-მალმიო | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**ნორვეგია. მე-14 ტური**
**8 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 012 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 21.00 | 013 | ბრინი-ლილესტრიომი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 21.00 | 014 | მოსი-ბრანი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 21.00 | 015 | სოგნდალი-ოდ გრენლანდი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 21.00 | 016 | სტრიომგოდსეტი-ლინი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.00 | 017 | ტრომსიო-სტაბეკი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 23.05 | 018 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**ფინეთი. მე-18 ტური**
**8 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 023 | ჰიკ-კუოპიო | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 024 | ტამპერე-იოკერიტი | 1,5 | 3,6 | 5,8 |
| 20.30 | 025 | ინტერი-ატლანტისი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.30 | 026 | როვანიემი-ვაასა | 2,1 | 3,1 | 3,0 |

**ავსტრია. სუპერთასი**
**7 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 027 | ტიროლი-კარნტენი | 1,45 | 3,6 | 6,5 |

**ინტერტოტო. II ეტაპი. II მატჩები**
**7 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 501 | უნივერსიტატია-სინოტი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.00 | 502 | აიკ-ოდენსე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 503 | ტატაბანია-ტილიგული | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 504 | სარტიდი-მიუნხენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 505 | რიზე-პობედა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 22.30 | 506 | ლოზანა-შტურმი | 2,0 | 3,2 | 3,1 |
| 22.30 | 507 | ჰერენვენი-ლიეპაია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 508 | გენტი-ჩელიკი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 23.00 | 509 | ბასტია-სლავენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 510 | ლოკერენი-ზაგლებე | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**8 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 511 | ვიტ ჯორჯია-ტრუა | ანგარიში - 5,0 | | |
| 20.30 | 512 | ჰაპოელი (ჰაიფა)-დინამო (მინსკი) | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 21.00 | 513 | ტავრია-სპარტაკი (ვარნა) | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 514 | პეტრჟალკა-ცელიე | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 21.00 | 515 | ჯაზი-პსჟ | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| 21.00 | 516 | გრინდავიკი-ბაზელი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაბუკები (არგენტინაში).**
**III ადგილი და ფინალი**
**8 ივლისი**

| | |
|---|---|
| 21.00 | 519 |
| 23.45 | 520 |

**ევროპის ჩემპიონატი ქალები (გერმანიაში). ფინალი**
**7 ივლისი**

| | |
|---|---|
| 18.00 | 523 |

**ჩოგბურთში უიმბლდონის ტურნირის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

**ჩოგბურთის მატჩის შეწყვეტის შემთხვევაში მოქმედებს იგივე წესი, რაც ფეხბურთში.**

**ჩოგბურთის ანგარიშის ფსონი მრავლდება მხოლოდ ანგარიშისაზე, ისევე როგორც შედეგის ფსონი შედეგისაზე. ანგარიშის ფსონის შედეგის ფსონზე გადამრავლება დაუშვებელია.**

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, ნაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

## ლოზანის გრან პრი

REUTERS ლოზანიდან




მიშელ ფრიმენი თარჯს გამოედო, დაეცა და ფეხი მოიტეხა

# პროტესტი და მოტეხილი ფეხი

**ლოზანის** ოლიმპიური სტადიონის ერთადერთ იარუსზე უკვე 12 ათასი კაცი შეგროვილიყო და პატივცემული გვამებიც — ხუან ანტონიო სამარანჩი, იააფ-ის პრეზიდენტი ლამინ დიაკი და მონაკოს პრინცი ალბერი გამოსაჩენ ადგილას ისხდნენ, როცა პლანეტის რჩეულ მძლეოსანთა ნაცვლად სარბენ ბილიკებზე ორი კაცი გამოვარდა. ისინი ლოზუნგებს აფრიალებდნენ, ხოლო მოთხოვნა იყო — 2008 წლის ოლიმპიადა პეკინში არასდიდებით არ ჩატარდესო. გაირკვა, რომ პროტესტის მთქმელები წარმოადგენდნენ ორგანიზაციას „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე“, რომელიც პრინციპულად წინააღმდეგია, ოლიმპიადის მასპინძლად ჩინეთის დედაქალაქი დასახელდეს, რადგან იქ ადამიანის უფლებები ირღვევა. იქამდე უშვირეს და უშვირეს პროტესტანტებმა სამარანჩს ლოზუნგები, სანამ სტადიონიდან არ გაყარეს. ოლიმპიზმის ჯერ კიდევ მამას კი საზეზე ნაკვთი არ შერხევია — ასეთი სცენა ბევრი უნახავს და რამდენიმე დღეში ყველაფრისგან დაისვენებს: მოსკოვში სოკ-ის ახალ პრეზიდენტს აირჩევენ.

ნახსენებ ათასებსა და პატივცემულთ გუშინწინ ლოზანის სარბიელზე იააფის მორიგი გრან პრისთვის უნდა ეცქირათ, რასაც აღწერილმა ექსცესმა ხელი ვერ შეუშალა. მრავალი სპორტსმენი ჯანზე იყო და რამდენიმე სეზონის რეკორდიც დაემხო. ამათგან კენიელთა ჯგუფური რეკორდი უნდა გამოვარჩიოთ. შავებმა 3000 მეტრზე უაღრესად გულმოდგინედ ირბინეს, ნაყოფიერად იმუშავეს „კურდღლებმაც“, ამიტომ პოლ ბიტოკი ფინიშზე სეზონის რეკორდზე 6(!) წამით ნაკლებ დროში მივიდა და იმას ფეხდაფეხ მიჰყვა კიდევ 4 კენიელი. ცხადია, მათაც წინა რეკორდზე ნაკლები დრო უჩვენეს. ორჯერ მოკლე დისტანციაზე ბევრად ცნობილმა სტაიერებმა ირბინეს ნოა ნგენის ჩათვლით. ოლიმპიური ჩემპიონი ყოჩაღად მიქროდა გზის პირველ ნახევარში, ხოლო მალე ალჟირელმა ალი საიდ სიიფმა „კურდღლები“ ჩამოიცილა და ისე გაკურცხლა, მისი დამწევი არავინ იყო. ნგენიმ და კენიელმავე ლაბან როტიკმა მეორე ადგილისთვის იბრძოლეს. როტიკმა აჯობა.

ალი საიდ სიიფი სიდნეის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონია 5000 მეტრზე. ბოლო ხანებში იგი, ჰიშამ ელ გურუჯისგან განსხვავებით, მაღლიდან დაბალ დისტანციებზე ჩამოდის, რაც წარმატებით გამოსდის: ალჟირელის ლოზანური დრო სეზონის რეკორდი გახლავთ. ჰიშამ ელ გურუჯს წინა პარასკევს რომის „ოქროს გალაზე“ ამაზე კარგი დრო არ უჩვენებია.

როგორც ყოველთვის, 100 მეტრზე სპრინტი მოიგეს მორის გრინმა (როგორც ყოველთვის, ატო ბოლდონს გაუსწრო) და მარიონ ჯონსმა. ეს უკანასკნელი ოჯახური უღლის გადაგდების შემდგომაც იგებს ყველა ტურნირს, სადაც გამოვა და ედმონტონის მსოფლიოს პირველობაზე 4 ოქროს მედალს უმიზნებს. ობიექტურობისთვის უნდა შევნიშნოთ, რომ ჯონსმა ლოზანაში ბეწვზე იმარჯვა. გრინის არ იყოს, მისთვისაც სტარტია მთავარი პრობლემა. ოთხშაბათს იგი ძლიერ ცუდად დაიძრა და ქურციკებივით წინ გავარდნენ ბაჰამელი ჩანდრა სტარაპი, ნიგერიელი მერსი ნკუ და უკრაინელი ჟანა პინტუსევიჩი, ვისი 10,93 წამიც სეზონის რეკორდია, მაგრამ შავმა ძუ მგელმა მათ ფინიშთან მაინც მიასწრო, სტარაპს სულ წამის მეასედით.

უგერგილოდ იხტუნავეს ქალებმა. ჰაიკე დრექსლერი თავს არ ჰგავდა, რადგან თურმე ლოზანაში ჩასვლას არ აპირებდა. საფრანგეთის ჩემპიონატზე ტრავმა მიიღო ენიკ ბარბერმა და დრექსლერს სწორედ მისი მაგივრობა სთხოვეს. ოლიმპიური ჩემპიონი მოკრძალებული 6,50-ით მესამე ადგილზე გავიდა.

თარჯრბენში სეზონის რეკორდიც იყო და მოტეხილი ფეხიც. პირველის პატრონი ანჯელო ტეილორი გახდა, მეორისა — იამაიკელი მიშელ ფრიმენი. ტეილორი დიდი გაქანებით მიხტუნავდა და 400 მეტრზე 47,95 წამში ჩაეტია, ხოლო მიშელ ფრიმენი, რომელიც 100 მეტრზე ასევე მონდომებით გარბოდა, ბოლო თარჯს გამოედო და წაიქცა. ამიტომ საეჭვოა, ედმონტონში ვიხილოთ.

ის ფაქტი, რომ იან ჟელეზნიმ შუბის ტყორცნა მოიგო, კომენტარს არ საჭიროებს.

**დავით გულუა**

### ვაჟები

100 მ: 1. მორის გრინი (აშშ) 9,90; 2. ატო ბოლდონი (ტრინიდადი და ტობაგო) 9,99; 3. დუეინ ჩემბერსი (დიდი ბრიტანეთი) 10,00

3000 მ: 1. პოლ ბიტოკი (კენია) 7.32,61; 2. ჯონ კიბოუენი (კენია) 7.33,36; 3. სემი კიპკეტერი (კენია) 7.33,62

1500 მ: 1. ალი საიდ სიიფი (ალჟირი) 3.29,51; 2. ლაბან როტიკი (კენია) 3.33,27; 3. ნოა ნგენი (კენია) 3.33,63

800 მ: 1. ანდრე ბუხერი (შვეიცარია) 1.43,58; 2. ეზეკიელ სეპენგი (სამხრეთ აფრიკა) 1.43,89; 3. უილიამ ჩირჩირი (კენია) 1.44,02

შუბი: 1. იან ჟელეზნი (ჩეხეთი) 89,84; 2. ერიკს რაგსი (ლატვია) 84,59; 3. ბრო გრირი (აშშ) 83,32

110 მ. თარჯრბენი: 1. ანიერ გარსია (კუბა) 13,24; 2. ლერი უეიდი (აშშ) 13,25; 3. სტანისლავს ოლიარსი (ლატვია) 13,29

200 მ: 1. რეიმონ კლეი (აშშ) 20,05; 2. კევინ ლიტლი (აშშ) 20,25; 3. ანდრე დომინგუშ და სილვა (ბრაზილია) 20,36

ჭოკით ხტომა: 1. ჯეფ ჰარტვიგი (აშშ) 5,90; 2. ალექსანდრ ავერბახი (ისრაელი); 3. დენი ეკერი (გერმანია)

სიგრძეზე ხტომა: 1. სავარ სპრინგფელოუ (აშშ) 8,28; 2. დუაიტ ფილიპსი (აშშ) 8,13; 3. კევინ დილვორთი (აშშ) 8,07

400 მ: 1. ანჯელო ტეილორი (აშშ) 47,95; 2. სტეფან დიაგანა (საფრანგეთი) 48,08; 3. დაი ტამესუ (იაპონია) 48,38

### ქალები

100 მ: 1. მარიონ ჯონსი (აშშ) 11,04; 2. ჩანდრა სტარაპი (ბაჰამის კუნძულები) 11,05; 3. მერსი ნკუ (ნიგერია) 11,06

800 მ: 1. ირინა მიციუკევიჩი (რუსეთი) 1.58,50; 2. ნატალია ციგანოვა 1.58,84; 3. ოლგა რასპოპოვა (რუსეთი) 1.58,90

400 მ თარჯრბენი: 1. ნეჟა ბიდუანე (მაროკო) 54,02; 2. ტანია ტერეშჩუკ-ანტიპოვა (უკრაინა); 3. იულია ნოსოვა (რუსეთი)

100 მ თარჯრბენი: 1. ჯენი ადამსი (აშშ) 12,68; 2. დელორიენ ენის-ლონდონი (იამაიკა) 12,73; 3. გლორი ალოზი (ნიგერია) 12,81

სიმაღლეზე ხტომა: 1. ინგა ბაბაკოვა (უკრაინა) 2,03; 2. ვენელინა ველევა (ბულგარეთი) 1,97; 3. ჰესტრი სტორბეკ-კლუტი (სამხრეთ აფრიკა) 1,94

სიგრძეზე ხტომა: 1. ოლგა რუბლიოვა (რუსეთი) 6,59; 2. ჯეკი ედვარდსი (ბაჰამის კუნძულები) 6,58; 3. ჰაიკე დრექსლერი (გერმანია) 6,50

3000 მ: 1. ასმა ლენგზაუი (მაროკო) 8.39,89; 2. ედიტ მასო (კენია) 8.43,03; 3. როზა ჩერიოტი (კენია) 8.44,05



# პრივალოსანი

**დონ კინგმა** თავის კლიენტს, მსოფლიოს უდავო ჩემპიონს ჰასიმ რაჰმანსა და ყოფილ ჩემპიონს ლენოქსს ლუისს 12,5 მილიონი დოლარი (თითოეულს) შესთავაზა და უთხრა, რომ მზადაა მათი ბრძოლა (რემატჩი) ოქტომბერში გამართოს.

ნიუ იორკში პრესკონფერენციაზე კინგმა განაცხადა, რომ საპრიზო ფონდი 25 მილიონი დოლარი იქნება.

„რაჰმანი მზადაა ლუისს როდესაც უნდა და სადაც უნდა იქ დაუდგეს. თან, ვიცეჩემპიონს 12,5 მილიონს ვთავაზობთ, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე თანხა, რომელსაც ჩემპიონის რანგში სთავაზობდნენ სწორედ იმ ბრძოლაში, რომელშიც ნოკაუტი იწვნია. ამასთან, მზად ვართ დავილაპარაკოთ ტელეკომპანია HBO-სთან, რომელსაც ხელშეკრულებით წარმოადგენს ლუისი“.

აღსანიშნავია, რომ დონ კინგის ამ განცხადებაზე ჯერ არაფერი უთქვამს WBC-ს ვერსიით ნომერ პირველ პრეტენდენტს მაიკ ტაისონსა და მის რაზმს, რომელთაც, თავის მხრივ, პრეტენზია აქვთ, რომ რაჰმანს ლუისი კი არა სწორედ ტაისონი უნდა გაეჯიბროს.

* * *

**ნიუ იორკელმა** მოსამართლემ, მირიამ კიდერბაუმმა დაადგინა, რომ მომჩივანი პრომოუტერი სედრიკ კუშნერი მსოფლიოს უდავო ჩემპიონს, ჰასიმ რაჰმანს ხელმძღვანელობას ვეღარ გაუწევს, ხოლო მოკრივის კონტრაქტი გაქნილ დონ კინგთან სრულიად სამართლიანია.

გავიხსენოთ დავის მიზეზი: კუშნერს და რაჰმანს ხელშეკრულება ჰქონდათ, რომელიც ამა წლის 12 აპრილს გასრულდა. ეს 12 აპრილი კი გახლავთ თარიღი, რომლიდანაც 9 დღეში რაჰმანმა, ყველასთვის მოულოდნელად დაანოკაუტა ლენოქს ლუისი და WBC-ს, IBO-ს და IBF-ის ქამრები შემოირტყა. სასამართლოში კუშნერმა განაცხადა, რომ ლუისთან მოსალოდნელი ბრძოლის გამო მათი ხელშეკრულება 24 აპრილამდე გაგრძელდა, შემდეგ კი ასეთი რამ მოხდა: სამხრეთ აფრიკიდან ანუ რაჰმან-ლუისის ბრძოლის ადგილიდან დაბრუნებისთანავე რაჰმანის თანამენეჯერმა სტენ ჰოფმანმა კუშნერისგან მიიღო 75-ათასდოლარიანი ჩეკი და წერილი, რომელშიც ეწერა, რომ ეს არის თანხა გაცემული „სედრიკ კუშნერ პრომოუშენზის“ მიერ სრული თანხმობით, კმაყოფილებით და კონტრაქტის გაგრძელების პირობით“.

ამაზე მოსამართლემ ბრძანა, რომ თუმც ჰოფმანი რაჰმანის სახელით ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი გახლდათ, „კუშნერ პრომოუშენზის“ წინადადება იურიდიული თვალსაზრისით არაკორექტული იყო. მოსამართლემ არად მიიჩნია კუშნერის ის არგუმენტიც, რომ ვინაიდან კონტრაქტით მითითებული ვადების განმავლობაში, რაჰმანი კარგახანს ავადმყოფობდა, მას მოკრივის პრომოუტერობა ავტომატურად ეკუთვნის.

* * *

**მსოფლიოს** უდავო ჩემპიონი, ჰასიმ რაჰმანი შესაძლოა ჩინეთში დევიდ აიზონს ვეღარ ეჩხუბოს, რადგან საქმე ისე მოექცა, რომ რაჰმანს ლუისთან მოუწევს სავალდებულო შეხვედრა, მაგრამ პეკინში მაინც ჩავა — 4 აგვისტოს დონ კინგს ჯონ რუისისა და ევანდერ ჰოლიფილდის ბრძოლა აქვს დაგეგმილი და რაჰმანი მის კომენტატორად იქნება მიწვეული.

საქმე ის გახლავთ, რომ ჯერჯერობით საზოგადოებამ ჩემპიონზე მხოლოდ ის იცის, რომ მან აპრილში, იოჰანესბურგში ლენოქსს ლუისი დაანოკაუტა, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით და მას დიდ ბრძოლათა კომენტირების ნიჭიც ჰქონია — ეს აშშ-ის ტელეარხებზე ღამის შოუებში დაადასტურა.

* * *



ბითჰეივენ სქოთლანდი (მარჯვნივ) კრივმა იმსხვერპლა

**ნიუ იორკის** საავადმყოფოს ექიმთა ექვსდღიანი ამაო მოწადინების შემდეგ ქვემძიმეწონოსანი ბითჰეივენ სქოთლანდი გარდაიცვალა. იგი ჰოსპიტალში მას მერე მოხვდა, რაც ჯორჯ ჯონსთან ბრძოლის დროს თავში მოხვდა მეტოქის მუშტი. აღსანიშნავია, რომ ტრაგიკულ ბრძოლას ტელევიზია გადასცემდა და იგი ამერიკის მთელმა კრივისმოყვარულმა ნაწილმა იხილა.

სქოთლანდის კარიერა 27 გამარჯვებით (აქედან 9 ნოკაუტით), 7 ფრით და 2 მარცხით დასრულდა. ტრაგედია კი მერილენდში, კერძოდ ჩრდილოეთ ბენტვუდში მოწყობილი ზემოთ ნახსენები პექრობის მეათე რაუნდში მოხდა. დამარცხებული სასწრაფოდ გააქანეს საავადმყოფოში და თავიდან, თითქოს არც ისე ცუდად ჰქონდა საქმე, მაგრამ თანდათან გაირკვა, რომ პირველი ინფორმაცია ტყუილია და მოკრივეს ტვინში სისხლის კოლტი აქვს. ტრავმის ავი შედეგების ჩასაცხრობად პაციენტს ორი ოპერაციაც გაუკეთეს, მაგრამ უშედეგოდ.

სქოთლანდის გარდაცვალებამ მყისვე წარმოშვა კითხვა: რას გვასწავლის ეს ამბავი? და, გაირკვა, რომ ტრაგედიის პირველ დღეებში ის საკრივო სამყაროს არაფერს ასწავლის. ამიტომაც გადაწყვიტეს დაიცადონ და დასკვნები მერე გამოიტანონ. ამჯერად, ერთადერთი, რაც გადაჭრით შეიძლება ითქვას, არის ის, რომ გარდაიცვალა 26 წლის კაცი, მეუღლე და სამი შვილის მამა.

**ტუტა სიხარულიძე**

# დღეს ჩიჩმიას დღეობაა, გამოვაცხოთ არეკნები

თბილისი. ვარკეთილის მეურნეობა
5 ივლისი

**ლოკომოტივი 18:22 დათვები**

ლოკომოტივი: ძნელაძე, აბუსერიძე, აბდულაძე, ალანია, ბუგიანიშვილი, ასათიანი, სარიშვილი; მაჭუტაძე, ჭელიძე (თოფურიძე), ხინჩაგაშვილი, გიორგაძე (გაფრინდაშვილი), მოგელაძე (ჯიბლაძე), კახიანი, მაისურაძე, ბ. უდესიანი

2 ლ: მაისურაძე, ბუგიანიშვილი; 1 გ: ძნელაძე; 2 ს: ძნელაძე;

დათვები: კიკნაძე, სვინტრაძე (დავლაძე), პინჩუკოვი, კაპანაძე, ხონელიძე, მაჩიტიძე, ხელაძე; ნინიძე, გურეშიძე, აშვეთია, ბერიძე, მოქია (ლლონტი), უჩავა, სვანიძე, ჩირგაძე

1 ლ: ხონელიძე; 1 გ: უჩავა; 3 ს: მაჩიტიძე (2), უჩავა; 2 ა: მაჩიტიძე

გაფრთხილება: თოფურიძე (ლოკომოტივი)
მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი
მეთვალყურე: მიხეილ კალანდაძე

თბილისი. ვარკეთილის მეურნეობა
5 ივლისი

**უნივერსიტეტი 18:16 ყოჩები**

უნივერსიტეტი: მაჩხანელი, კ. ელოშვილი, ბარამიძე, ო. ელოშვილი, დ. მხეიძე, მოდებაძე, ჭუმბურიძე; ჯალალონია, ქარაბაკი, კობიაშვილი, ქირიკაშვილი (გუჯარაიძე, ბიძინაშვილი), ცხომელიძე (ნიკლაური), ავსაჯანაშვილი, მინაშვილი, გუნდიშვილი

2 ლ: მაჩხანელი, მოდებაძე; 1 გ: მოდებაძე; 2 ს: მოდებაძე

ყოჩები: ლიპარტელიანი, ნ. მხეიძე, ტრაპაიძე, ჯანელიძე, კობერიძე, გიორხელიძე, კაჭარავა; მელაძე, კიკუაშვილი, ფირიაშვილი, ხურცილავა, გუშარაშვილი (ჩაკვეტაძე), წიფურია (ჭავჭავაძე), კ. მხეიძე, გ. ხაბეიშვილი

1 ლ: გიორხელიძე; 1 გ: გიორხელიძე; 3 ს: გიორხელიძე;

გაფრთხილება: წიკლაური (უნივერსიტეტი)
მსაჯი: მიხეილ ჩაჩუა
მეთვალყურე: ზურაბ ხარშილაძე

მეშვიდე ტურის ორი მატჩი ვარკეთილის მეურნეობის ხარაგბო მოედანზე გაიმართა. წვიმით გაჯერებულ მინდორზე ჯერ „დათვებმა" და „ლოკომოტივმა" შედგეს ფეხი. ამ ორი გუნდის დაპირისპირება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. იშვიათად შეხვედრამ ისე ჩაიაროს, მეტოქეებმა ერთმანეთს მუშტიკრივი არ გაუმართონ.

წლეულს ეს გუნდები პირველივე ტურში, ბათუმში შეეჩეხნენ ერთმანეთს. გზის დათმობას, რა თქმა უნდა, არც ერთი აპირებდა, გამარჯვებული კი ზღვისპირელები დარჩნენ. კახა მაჩიტიძის ექვს საჯარიმოს და ორ არეკნს რკინიგზელებმა ბევრი ვერაფერი დაუპირისპირეს და შინ უქულოდ დაბრუნდნენ.

გუშინდელ მატჩს ინტრიგას ისიც მატებდა, რომ რკინიგზელებს რევანშის წყურვილი ჰკლავდათ, მაგრამ მათმა იმედმა ჩაილურის წყალი დალია.

ბათუმელთა დამრტყმელმა კახა მაჩიტიძემ არეკნით დებიუტშივე დააწინაურა თავისიანები. ბურთმა ცოტა არ იყოს, უცნაური ტრაექტორიით იფრინა, მაგრამ მიზანს მაინც უწია. საერთოდ „დათვების" თამაში სწორედ კახა მაჩიტიძეზეა აწყობილი, შეტევას იგი იწყებს, თუ ხელსაყრელ პოზიციაში დაიგულებს თავს, უმალ კარის მიმართულებით დააქუხებს ოვალს. მე შენ გეტყვი, არ ეხერხება, თუ რა? თანაც ორივე ფეხს ერთნაირად ხმარობს ზღვისპირელთა მე-10 ნომერი. მისთვის სულ ერთია, ცაციას მოიქნევს თუ მარჯვენას. ეს კარგად იცოდნენ რკინიგზელებმა, ცდილობდნენ, როგორმე გაეუვნებლებიათ მაჩიტიძე, რომელსაც გუშინ დაბადების დღე ჰქონდა (ოცდათორმეტი წელი შეუსრულდა), მაგრამ „ჩიჩმიას" შეჩერება გუშინ ვერაფრით მოახერხეს თბილისელებმა.

სტუმართა შეტევები არც ამის შემდეგ განელებულა. „ლოკომოტივი" ზედიზედ ორჯერ გადაურჩა ლელოს. პირველად ბათუმელებს ზედ ლელოსთან ბურთი წინ გაუვარდათ, მეორედ შერკინება გაისარჯა უნიათოდ. თავბრუდამხვევი დასაწყისის შემდეგ „ლოკომოტივი" გონს მოეგო და პირველივე საპასუხო იერიში ზვიად მაისურაძემ დაასრულა ლელოთი. ძნელაძემ თანაგუნდელის მონაგარს ორი ქულაც დაურთო და წინ „ლოკომოტივი" გავიდა — 7:3.

რამდენიმე წუთში ძნელაძემ საჯარიმო ნიშნულიდან იხეირა. ამას სულ მალე არეკნიც მიაყოლა, მაგრამ კარის ძელმა ბურთი უკუაგდო. „ლოკომოტივი" კვლავ განაგრძობდა მეტოქეზე ზეწოლას, მაგრამ რკინიგზელთა ქმედებაში ბევრი ტექნიკური წუნი იყო. მასპინძლები ხშირად ცდებოდნენ გადაცემებში. მათი ძირითადი კოზირი — აუტების მოგება და მობილური შერკინება გუშინ ვერ იდგა სათანადო დონეზე, მეტიც, ბათუმელები ხშირ შემთხვევებში სჯობდნენ კიდეც მეტოქეს. ყველაფრის ამის ფონზე თითქოს ალოგიკურიც იყო „ლოკომოტივის" უპირატესობა ქულებში. ერთიც არის, რკინიგზელებმა მხრის ტრავმის გამო თავიანთი ლიდერი და გუნდის დირიჟორი ბობა კვინიხიძე მოისაკლისეს. მისი არყოფნით კი მასპინძელთა იერიშებს პეწი და სიმწვავე აკლდა. სამაგიეროდ, სტუმრებმა შეუტიეს თამამად. კახა მაჩიტიძემ ორ გაცუდებულ ჯარიმას მესამე და ზუსტი მიაყოლა. მორიგი იერიშისას კი აბრაგანიც ამოჰკრა, მაგრამ „ლოკომოტივის" მცველებმა დააფარეს, თუმც ეს თამაშგარედან გააკეთეს. დანიშნული ჯარიმა მეორე კახამ, უჩავამ გაიტანა — 10:9.

პირველი ტაიმი ბოლო წუთებს ითვლიდა, როდესაც „ლოკომოტივის" გარემარბმა გიორგი ბუგიანიშვილმა აიწყვიტა. „ბუგიმ" მოედნის ცენტრიდან სტუმართა ლელოს სიახლოვეს ჩაკიდა ბურთი, თავადვე შეჰყვა და სანამ „დათვების" მცველები სიტუაციაში გაერკვეოდნენ, თავადვე დაასრულა შეტევა. ძნელაძემ რთული პოზიციიდან კარებს ვერ უსწორა. ამის შემდეგ მეტოქეებმა თითო-თითოჯერ მწვავედ უჩხვლიტეს ერთმანეთს და ტაიმიც ასე მორჩა 15:9.

მატჩის მეორე ორმოცწუთეული „ლოკომოტივის" იერიშებით დაიწყო. თუმც ლელომდე საქმე არ მისულა. ძნელაძემ საჯარიმო გაიტანა და ანგარიშში სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა. ამის შემდეგ მოედანზე ნაღდი ბრძოლა გაჩაღდა. ერთ-ერთი შეტაკებისას რკინიგზელმა ზურაბ მოგელაძემ ხერხემლის ტრავმა მიიღო, რომელიც იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ სასწრაფო დახმარების გამოძახება გახდა საჭირო. დაზარალებული საავადმყოფოში წაიყვანეს. მცირე პაუზის შემდეგ შეხვედრა განახლდა. დაფიქსირებული ანგარიში კი დიდხანს არ დარჩენილა ძალაში. „დათვებმა" თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს. შტურმიც მოუწყვეს რკინიგზელთა ლელოს. მაჩიტიძემ ორიგინალური გადაცემით ხონელიძე მოძებნა, რომელმაც გაჭრა მასპინძელთა დაცვის ხაზი და „ლოკომოტივის" ლელოს უწია. უჩავამ გარდასახა. მატჩი კიდევ უფრო დაიძაბა, ხშირი იყო მსაჯთან კამათი. სწორედ არბიტრთან შელაპარაკების გამო მოუწია რკინიგზელ თოფურიძეს ათი წუთით მოედნის დატოვება. კაცნაკლულ „ლოკომოტივს" მეტოქის შეტევების შეჩერება ძალიან გაუჭირდა. ამასთან რკინიგზელები დაიღალნენ, ბათუმელები კი აძლიერებდნენ მოწინააღმდეგეზე ზეწოლას. კვანძი შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე გაიხსნა. ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშემ კახა მაჩიტიძემ მასპინძელთა მოდუნებით ისარგებლა და შერკინებიდან გამოტანილი ბურთი „ლოკომოტივის" კარში ჩაჭედა — 18:19. რკინიგზელებმა ძალები მოიკრიბეს, უკანმოუხედავად ეკვეთნენ მეტოქეს, მაგრამ მაჩიტიძის ზუსტმა ჯარიმამ ბოლო იმედიც გადაუწურა მასპინძლებს. საფინალო სასტვენისთანავე ბათუმელები მოედნის შუაგულში მოგროვდნენ და ჰაერში რამდენჯერმე აagდეს მატჩის გმირი — კახა მაჩიტიძე.

ამ ერთობ დრამატული და დაძაბული ჯახის შემდეგ მინდორზე „უნივერსიტეტი" და „ყოჩები" გავიდნენ.

ახლა, როდესაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საგამოცდო ციებ-ცხელება სუფევს, გურამ მოდებაძისა და დავით კილასონიას სტუდენტები მოედანზე აბარებენ გამოცდებს. გუშინ „უნივერსიტეტს" უკან დასახევი გზა არ ჰქონდა, უნდა მოეგო, სხვა შემთხვევაში პლეი ოფის საგზური შორეული პერსპექტივა გახდებოდა. ეს კარგად ესმოდაც უნივერსიტეტელებსაც და მოედანზეც მაქსიმალურად მობილიზებულნი გამოვიდნენ, რასაც მათ მეტოქეზე ვერ ვიტყვით. ვიცე-ჩემპიონი თავის თავს არ ჰგავდა. „ყოჩებმა" ალბათ ყველაზე ცუდად ითამაშეს მიმდინარე ჩემპიონატში. წინა ტურში ქუთაისში „აიასთან" განცდილი მარცხის შემდეგ ამირან თეზელაშვილის სამწყსო „უნივერსიტეტსაც" დაეჩაგვრინა და ოთხეულში მოხვედრა გაირთულა. ვერც ძველი გვარდიის დაბრუნებამ უშველა ვიცე-ჩემპიონებს. შავლეგ ჯანელიძე და ნიკო ჭავჭავაძე „ყოჩებს" კი შეეშველნენ, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

„უნივერსიტეტმა" თავიდანვე შეუტია. სტუდენტთა მძიმე ფორვარდებმა დიდხანს უტრიალეს მეტოქის ლელოს, აქედან ოდენ სამ ქულას გამორჩნენ. ირაკლი გიორხელიძემ უმალ აღადგინა წონასწორობა, ცოტა ხანში კი ისევ საჯარიმოდან სცადა ბედი, მაგრამ ბურთი ძელმა აისხლიტა. „ყოჩები" ყოველი დანიშნული ჯარიმის კარში დარტყმას ლამობდნენ, გიორხელიძემ ერთხელაც გაისროლა და ამჯერად შეძლო ბურთის ძელებს შორის გატარება. მანამდე მისი უშუალო მეტოქე ირაკლი მოდებაძე იყო ზუსტი. ტაიმის მიწურულს კი „უნივერსიტეტის" მცველმა ირაკლი მაჩხანელმა მოარგო ყოჩთა დაცვას გასაღები.

დაიწყო თუ არა მეორე ნახევარი, „უნივერსიტეტმა" თავისი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. ირაკლი მოდებაძემ მოწინააღმდეგეს ბურთი მოჰპარა, „ყოჩების" ორ მცველს ფეხით თავზე გადაუგდო და ლელოშიც შეაღწია. პასუხი არ დააგვიანეს „ყოჩებმა". თავი ისევ ირაკლი გიორხელიძემ გამოიჩინა, აუტიდან შემოგდებულ ბურთს „უნივერსიტეტის" ლელოში მიუჩინა ადგილი. რამდენიმე წუთში საჯარიმოც შეაგდო, თუმც ჩამორჩენის აღმოფხვრა ვერაფრით შეძლეს „ყოჩებმა" და მიმდინარე პირველობაზე მეოთხედ დამარცხდნენ.

**ბაჩო სვანიძე**



ლოკომოტივი — დათვები. რკინიგზელი გიორგი ბუგიანიშვილი გოჩა ხონელიძის (ბურთით) შეჩერებას ცდილობს

ქუთაისი. დინამო. 5 ივლისი

**აია — ასკ**

*ასკ არ გამოცხადდა*

ამაოდ ელოდნენ ქუთათურები თბილისელი არმიელების სტუმრობას. უჭირს დღეს ასკ-ს, უჭირს ისე როგორც არასდროს. ბედის ანაბარა მიტოვებულმა გუნდმა იმერეთში გასამგზავრებელი თანხა ვერ მოიძია და მეშვიდე ტურის ერთი მატჩიც ჩაიშალა. საეჭვოა, „აიას" შინაურ კედლებში გასჭირვებოდა მეტოქის დამარცხება, მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ უმაღლესი ლიგის გუნდს ლიხს იქით წასასვლელი ფული არ გააჩნია, საგანგაშოა, სხვა თუ არაფერი. ბუნებრივია, ასკ-ს შესაბამისი სანქციებითაც დასჯიან. თუ როგორით, ამის დასაზუსტებლად რაგბის კავშირის სპორტული კომისიის დირექტორს მიხეილ რობიტაშვილს დავეკითხეთ: „არის დებულება, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია შესაბამისი რეაგირება მოვახდინოთ. ამ შემთხვევაში ქუთაისის „აიას" ჩაეთვლება მოგება, ასკ-ს კი დააკლდება ერთი ქულა. ვინაიდან არმიულ კლუბს დღეს ნული ქულა აქვს, სატურნირო ცხრილში ჩაეწერება მინუს ერთი ქულა".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 6 | 6 | 0 | 0 | 191:81 | 12 |
| ლოკომოტივი | 7 | 5 | 0 | 2 | 175:105 | 10 |
| ყოჩები | 7 | 3 | 0 | 4 | 193:105 | 6 |
| უნივერსიტეტი | 7 | 3 | 0 | 4 | 149:97 | 6 |
| აია | 7 | 3 | 0 | 4 | 100:124 | 6 |
| ასკ | 6 | 0 | 0 | 6 | 16:306 | -1 |

*ასკ-ს დაკლებული აქვს ერთი ქულა*

# რაგბის წლის მატჩი მქნება

## ჩრდილოეთი სამხრეთის წინააღმდეგ

**მსოფლიო** რაგბის გამგებელმა ორგანიზაციამ IRB-მ გუშინ თავისი ერთ-ერთი მშვენიერი პროექტის განხორციელებაზე საქვეყნო დასტური განაცხადა. ამ ამბავმა რაგბის ყველა მოყვარული უზომოდ უნდა გაახაროს, რადგან მომავალი წლიდან მათ ისეთი ბურთაობის ცქერით შეეძლებათ დატკბობა, აქამდე წარმოუდგენელი რომ იყო. საუბარია ყოველწლიურ მატჩზე, რომლის დროსაც ერთმანეთის პირისპირ ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროების საუკეთესო მორაგბეები დადგებიან.

IRB-ს პრეზიდენტმა ვერნონ პიუმ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჯერჯერობით ამ „წლის მატჩის" გამართვის არც თარიღია დაფიქსირებული და არც ადგილი, მაგრამ იქვე დაუმატა, რომ პრემიერა სავარაუდოდ 2002 წლის ივნისში ან სექტემბერში შედგება.

„ესაა მატჩი, რომლის ნახვაც ხალხს გულით სწადია. კალენდარს ბრწყინვალე რამ დაემატა" — განაცხადა ბატონმა პიუმ.

დეტალები ჯერ კიდევ არაა დაზუსტებული, მაგრამ რაგბის ყველა დიდი ქვეყანა ერთზე უკვე შეთანხმდა — „წლის მატჩის" შემოსავალი მთლიანად პატარა, რა თქმა უნდა, სარაგბო თვალსაზრისით, ქვეყნებს გაუნაწილდებათ.

ოთხმა სახელმწიფომ, მათ შორის ერთმა აზიურმა, უკვე წარმოადგინეს თავიანთი კანდიდატურები ჩრდილოეთისა და სამხრეთის პირველი შეჯახების სამასპინძლოდ.

მწვრთნელებსა და შემადგენლობების შესარჩევ ჟიურის IRB დაასახელებს, ოღონდ ერთი პრინციპი არაფრით დაირღვევა — მატჩში მთელი სარაგბო სამყარო მიიღებს მონაწილეობას.

შესაბამისად ჩრდილოეთის ნაკრებში ევროპელთა გარდა ამერიკელ, კანადელ და იაპონელ მორაგბეებსაც ვიხილავთ, სამხრეთისაში კი სამი ბობოლას მხარდამხარ არგენტინა და ოკეანეთიც გამოიყვანენ თავიანთ ხალხს.

მსგავსი იდეები სხვა სპორტების თავკაცებსაც გასჩენიათ, მაგრამ მათი პროექტები წარუმატებელნი გამოდგარან. თუმცა უელსელ ვექილ ვერნონ პიუს ეს არ აშინებს და წარმატებაში დარწმუნებულია, რადგან თვლის, რომ რაგბიში ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირებას სულ სხვა მუღამი აქვს.

**გაგი გურული**



ვერნონ პიუ ნოვატორობს

# არა — პეკინს!




REUTERS ლოზანიდან



REUTERS დელიდან

ათიოდ დღეც და მოსკოვში შეკრებილი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უფროსობა 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელს გაარკვევს. კანდიდატთა შორის განსაკუთრებით ხმაურობს კომუნისტური ჩინეთის დედაქალაქი პეკინი. მაგრამ ხმაურობენ პეკინის საწინააღმდეგოდაც. ლოზანაში, ოლიმპიური კომიტეტის საოფისე ქალაქში გამართულ მძლეოსანთა ტურნირს შეურიგებელი ორგანიზაციის, „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე“ საპროტესტო გამოსვლაც მოჰყვა. ტრანსპარანტის შინაარსი ნათელია: „არ ჩაატაროთ ოლიმპიადა პეკინში!“ ტრანსპარანტის ერთ-ერთი დამჭერი ცნობილი კუბელი დევნილ-დისიდენტ-ჟურნალისტი, მეტერიო გონსალესი (მარცხნივ) გახლავთ. ინდოეთის დედაქალაქ დელიში კი კომუნისტური ჩინეთის მიერ დაპყრობილ ტიბეტელ ემიგრანტებს მოუყრიათ თავი და იგივეს ითხოვენ. ძნელია კომუნისტობა.



REUTERS მელბურნიდან

# ლომი კორტზე

ბრიტანელი ლომები ახლა მელბურნში არიან და მსოფლიოს ჩემპიონ ავსტრალიასთან მეორე სარაგბო ჯახისთვის ემზადებიან. ეს მეორე ტესტი 7 ივლისს სწორედ მელბურნში გაიმართება. ლომებმა, სამტესტა სერიის პირველი მატჩი გასულ შაბათს მოიგეს ბრისბენში, ახლა კი, მელბურნის ცენტრალურ კორტზე ხლაფორთობენ რაღაცას. რაც გინდათ თქვით და ჯონი ვილკინსონის საქმე ჩოგანი არ ყოფილა.

# დათვი ქორად იქცა

„ვანკუვერ გრიზლიზის“ ლიდერი, ახირებული შარიფ აბდურ-რაჰიმი აღარ არის კანადელთა ლიდერი. ყოველი თამაშის წინ მუსლიმურად მლოცველი შარიფი ამიერიდან „ატლანტა ჰოქსის“ ღირსებას დაიცავს. ატლანტელთა გენერალურმა მენეჯერმა პიტ ბებკოკმა უკვე გადასცა აბდურ-რაჰიმს მისი საყვარელი №3 მაისურა.






# ნახვამდის, ბიცოლებო

ქალთა ჩოგბურთის შემჭკნარი ვარდები და მაინც უბერებელი ბიცოლები, არანჩა სანჩეს-ვიკარიო და მარტინა ნავრატილოვა არცთუ დარდიანად ეთხოვებიან უიმბლდონის კორტს, სადაც, ეს-ესაა დათმეს წყვილთა მეოთხედფინალური შეხვედრა კიმბერლი პო-მესერლისა და ნატალი ტოზიასთან. ეჰ, რაც ბიცოლებს მოუგიათ, ამათ არც დაესიზმრებათ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge